140/
1970/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი. 8
1970

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო ა. კავკასიძისა.

სამხედრო სპორტული თამაშის — „ცისკრის“ რესპუბლიკური შეკრების საზეიმო გახსნა. ალლუმის მონაწილეებს ესალმება ამიერკავკასიის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე ამხ. ი. იურპოლსკი. ტრიბუნაზე არიან საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ლალიძე.

ЗАРНИЦА

# «ცისკრის» ყარაული



ბათუმის მე-5 საშ. სკოლის პიონერებს ალფრთოვანებით შეეგებნენ მაყურებლები.



რიხიანად მიაბიჯებენ ფოთის მე-6 საშ. სკოლის მოსწავლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრგვინავს ორკესტრი. მოედანზე მწყობრ კოლონებად მოაბიჯებენ სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის“ ფინალის მონაწილენი. შეჯიბრის მონაწილეებს ესალმება „ცისკრის“ შტაბის უფროსი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი იურპოლსკი.

ასე იწყება უჩვეულო, დაძაბული, მხიარული შეჯიბრი, რომელმაც ოთხ დღეს გასტანა.

**დღე პირველი:** საბრძოლო ტექნიკის დათვალიერება. კარვების გაშლა. ღამის გასათევის მოწყობა. ჯარისკაცური ვახშამი. საღამოთი ჩვენი არმიის ძლევამოსილების ამსახველი კინოფილმი.



„ცისკრის“ ქალაქის ხედი



თელავის მე-6 საშ. სკოლის მოსწავლეები



მოდიან ჩოხატაურის რაიონის სოფ. ერკეთის საშ. სკოლის ნორჩი არმიელები.



ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მე-2 საშ. სკოლის წარმოგზავნილები.

**დღე მეორე:** საყვირის ხმაზე მთელი ბანაკი ხაზზე ეწყობა. მერე სპორტული შეკრების „პირველი გაკვეთილი“ — გამამხნევებელი ვარჯიში და... მართლაც რომ საოცარი სანახაობა: ლურჯად მოლივლივე ცაზე ათასი ყაყაჩო, ენძელა, იასამანი — პარაშუტისტთა ფერადი გვირგვინები. მთელი ის დღე ათასგვარ შეჯიბრს დაეთმო. ჯერ იყო და მზვერავთა რაზმებმა შეუტიეს ტყეს, მათ არც მსროლელები ჩამორჩნენ, სანიტრებმაც გახსნეს წითელჯვრიანი ჩანთები...



მწყობრად ჩაიარეს ტრიბუნის წინ. ლაგოდეხის რუსული საშ. სკოლის მოსწავლეებმა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი
8 · აგვისტო · 1970
გამოდის 44-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ЗАРНИЦА



ეროვნული

მეტად საინტერესო იყო სამოქალაქო თავდაცვისა და ტურისტულ მრავალჭიდში შეჯიბრიც — ვინ უმალ დაკეცავს საძილე ტომარას, ჩადებს ზურგჩანთაში და ზურგზე მოიკიდებს; ნორჩი არმიელები „მტრის“ ნასროლი ყუმბარისაგან იცავენ თავს. სწრაფად გაჰყავთ „დაჭრილი“ მოწამლული ადგილიდან, პირველ დახმარებას უწევენ მას.

**დღე მესამე:** ფიქრივით მოდებია დილის ნისლი გორაკებს. ჩიტები დაცვარულ ფრთებს იფერთხავენ. მყუდროებაა ტყეში. დილის ხუთი საათია. საყვირის მოულოდნელი ხმა აყრუებს არე-მარეს. ეს იყო ნორჩ არმიელთა ერთ-ერთი ძირითადი გამოცდა. მტერმა მოულოდნელად იცის თავდასხმა... თექვსმეტივე რაზმი მზად შეხვდა მოულოდნელ განგაშს, ჯერაც ძილ-ღვიძილში მყოფი ბავშვები ათიოდე წუთში სრული საბრძოლო მზადყოფნით შეეგებნენ „მტერს“. 16 რაზმი მტკიცე ხმით წარმოთქვამს ფიცს. „პიონერო, სოცია-



მაღლა, ცაში „მტრის“ დესანტი გამოჩნდა. ახლა მცელავი ცეცხლის გახსნაა საჭირო.



გემრიელია ჯარისკაცური სადილი.

შეტევაზე არიან ცხინვალის რაიონი
ნორჩი არმიელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფ. ქურთას საბავშვო სახლის ნორჩ არმიელთა რაზმის მეთაური ნაილა გაგარაევა.

ლისტური სამშობლოს დასაცავად იყავ მზად!" — გაისმის წკრიალა ხმა და მძლავრ ექოდ უერთდება მას ხუთასი ბავშვის მჭექარე გრგვინვა — „მზად ვართ!"

**დღე მეოთხე:** ღელავენ ნორჩი არმიელები. დღეს გამოჩნდება, ვინ როგორ შეისწავლა სამხედრო საქმე; გამოჩნდება, ვის როგორი აღჭურვილობა აქვს; დიდი გამოცდა ელის მათ ფიზიკურ და მორალურ ძალებს.

იწყება ჟერიში — უზარმაზარი მთის საბრძოლო დალაშქვრა. აქ მდინარეცაა გადასალახავი, ტყეცაა გასავლელი, კლდეებიცაა გზაზე და სხვა ათასი დაბრკოლება. და, რაც მთავარია, უხილავი „მტრის" ჯარია ირგვლივ ჩასაფრებული. წინ მზვერავები მიდიან. აღმოაჩინეს „მტერი", იპოვნეს „დანაღმული ველი" და გზა გაუხსნეს რაზმს. ეს უძნელესი გამოცდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთის სკოლის პიონერებმა შესანიშნავად ჩააბარეს — პირველებმა აიტანეს ალამი მწვერვალზე.

ყველა რაზმმა ისახელა თავი; ერთმა დაზვერვაში გამოიჩინა უნარი, მეორემ — სროლაში, მესამემ — ოთხჭიდში, ადგილებიც სათანადოდ განაწილდა... მაგრამ მაინც, საერთო ჯამით, გორის მე-5 საშუალო სკოლის ნორჩი არმიელები სჯობდნენ სხვებს, უმნიშვნელო უპირატესობამ პირველი ადგილი საბოლოოდ მათ არგუნა.

დიდი ზეიმით დასრულდა ნორჩ არმიელთა ოთხი დღე.

ახლა — ისევ მზადება, ისევ მომავლისათვის მზადყოფნა, სამხედრო ცოდნის გულმოდგინე და საფუძვლიანი დაუფლება, შემდეგ კი — საკავშირო ასპარეზი.





გაფაციცებით ადევნებენ თვალს პარაშუტისტ-სპორტსმენების გამოსვლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გმირი ბავშვები

სოფელი ლუკინო მდინარე პოლოს სანაპიროზეა.

როცა ლუკინოში ფაშისტები მოვიდნენ, ლიონია პარტიზანებთან წავიდა. ვაჟკაცურად იტანდა შორეულ გზებს, ყინვასა და უძილო ღამეებს. ბევრჯერ ყოფილა დაზვერვაში, მოჰქონდა მნიშვნელოვანი ცნობები ფაშისტთა ნაწილების განლაგებაზე, უფროს მებრძოლებთან ერთად აფეთქებდა მტრის მატარებლებს, ავტომანქანებს, ანგრევდა ხიდებს, გზებს, ანადგურებდა საწყობებს, ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა დაჭრილები.

1942 წლის 13 აგვისტოს ლიონია, სხვა პარტიზანებთან ერთად, გზის დასაზვერავად წავიდა. დავალება შეასრულეს და პარტიზანებმა ტყეს მიაშურეს. ლიონია სულ ბოლოს მოდიოდა. ამ დროს შორს გერმანული შტაბის მანქანა გამოჩნდა... თუ რა მოიმოქმედა ლიონიამ, ამას მაშინ გაიგებთ, როცა ი. კოროლკოვის წიგნის — „პარტიზანი ლიონია გოლიკოვი“ ქვემოთ მოთავსებულ ნაწყვეტს წაიკითხავთ.

ლიონია გოლიკოვი 1943 წლის 24 იანვარს, სოფელ ოსტრაია ლუკასთან გამართულ ბრძოლაში დაიღუპა, 1944 წლის 2 აპრილს კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გამოქვეყნდა ლიონია გოლიკოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

## ლიონია პარტიზანი გოლიკოვი

**იური კოროლკოვი**

მხატვარი ჯემალ ლოლუა

ერთი კვირა იყო, რაც ლიონკა კომკავშირელი გახდა და მთავრობის პირველი ჯილდო მიიღო. მთელი ამ ხნის მანძილზე იგი საოცარ აღტაცებას განიცდიდა, არ შორდებოდა მღელვარე ბედნიერების განცდა. ასე განსაჯეთ, ღამითაც კი თვალებს დაჭყეტდა, მკერდზე ხელს მოისვამდა, მედალს მოისინჯავდა და ბედნიერი და მხიარული კვლავ ძილს მიეცემოდა. ეჩვენებოდა, რომ სულ მალე უნდა მომხდარიყო რაღაც უჩვეულო, როცა იგი შესძლებდა გამოემჟღავნებინა მთელი თავისი ძალა, ნებისყოფა. იგი იმ ახალგაზრდა მუხის ხეს წააგავდა, რომლის ფესვებსა და შტამბში გაზაფხულის დადგომასთან ერთად გროვდება და დუღს სასიცოცხლო წვენი. შემდეგ იგი ერთბაშად დაუვლის რტოებს, კვირტებს დაბერავს და მწვანე ფოთლებად იქცევა. ლიონკაც სწორედ ასე ქვეშეცნეულად გრძნობდა საკუთარ თავში ამ ჭაბუკურ ძალას, რომელსაც ჯერხნობით გამოსავალი ვერ ეპოვა.

ეს დიდი, უჩვეულო ამბავი 1942 წლის 13 აგვისტოს ნათელ დილას მოხდა, როცა ფაშისტი გენერლის რიჰარდ ვირტცის გზამ საბჭოთა ბიჭუნას პარტიზანული ბილიკი გადაკვეთა.

რიჰარდ ვირტცი კენისბერგიდან ბრუნდებოდა და ღამე ფსკოვში გაათია. გამთენიისას ლუგის გზას დაადგა, იქ კორპუსში გადაუდებელი საქმეები ელოდა.

მანქანას ვირტცის ადიუტანტი მართავდა. გენერალი თავის ადიუტანტს ისევე მიეჩვია, როგორც ეჩვევიან ხოლმე რაიმე ნივთს ანდა შინაურ ცხოველებს.

ვირტცს მუხლებზე წითელი ტყავის პორტფელი ედო. გენერალი ერთი წუთით არ უშვებდა ხელიდან ამ პორტფელს. უფრო სწორად, ეს პორტფელი კი არა, ტყავის საქაღალდე იყო, რომელსაც რკინის საკეტი ჰქონდა. გენერალმა დახედა მას და ფიქრით კვლავ აღმოსავლეთ პრუსიაში თავის მოგზაურობას დაუბრუნდა. ეს ფიურერის სარდლობაში მისი მესამე მისვლა იყო. თუმცა ამჯერად ჰიტლერმა გენერალი ვირტცი არ მიიღო, მაგრამ საინჟინრო სამმართველოში ყველანი ულოცავდნენ და სასიამოვნო ამბავი აცნობეს: მისი პროექტი დაემტკიცებინათ და საიდუმლო ნაღმის წარმოება უკვე დაეწყოთ, ნაღმის გამოგონების პატენტიც გაეცათ მის სახელზე. ასე, რომ, უმოკლეს დროში კრუპის ფირმისაგან ფული იყო მოსალოდნელი. ამ ფირმას აუღია დაკვეთა.

ახლა პატენტი, ნახაზები, სქემები, გაანგარიშებები ამ პორტფელში აწყვია. ძალიან კარგი ქნა, რომ დაუჯერა ბრიგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირფიურერს და ღამე არ გამოემგზავრა! ღმერთმა ნუ ქნას, ამ საბუთებით რუსმა პარტიზანებმა ჩაიგდონ ხელთ! საინჟინრო სამმართველოდან წამოღებული პაკეტიც არ იქნებოდა მათთვის ინტერესმოკლებული. მასში ხომ მთელი უბნის თავდაცვითი ნაგებობების რუკაა.

ვირტცს გაეღიმა: „რომ იცოდნენ!..“

მზე კარგად ამოიწვერა და დაცხა. მანქანაში სულის მოთქმა გაჭირდა. ვირტცმა გვერდითი მინა გახსნა და თეთრი საზაფხულო ფრენჩის საყელო შეიხსნა, ოქროს ბუზმენტებიანი ქუდი მოიხადა და გვერდით დაიდო. სარკმელს მიღმა გზისმაჩვენებელმა გაიელვა. სასოფლო გზა გზატკეცილიდან მარჯვნივ უხვევდა. ვირტცმა რუკა აიღო და განსაზღვრა სად იმყოფებოდნენ. უახლოესი სოფელი ვარნიცაა. იქამდე თორმეტი კილომეტრია. ამ სოფელში უნდა გაჩერდნენ, გაივლის მაინც, ცოტა ხომ უნდა გაშალოს მუხლი! მანქანაში ისეთი სივიწროვეა!

— შტოლბერგ, — ჰკითხა მან ადიუტანტს, — ათი საათისთვის ვიქნებით ლუგაში?

— აუცილებლად! — არ შემობრუნებულა, ისე უპასუხა შტოლბერგმა.

მან სპიდომეტრს შეხედა: — გზას მაინცდამაინც კარგი არ ეთქმის, მაგრამ მაინც ხერხდება საშუალოდ 70 კილომეტრის სიჩქარით სიარული.

აგერ გამოჩნდა პატარა ხისმოაჯირიანი ხიდი. შტოლბერგმა ოდნავ დაამუხრუჭა მანქანა. მაგრამ რა არის ეს? გენერალმა და მისმა ადიუტანტმა დაინახეს, რომ ღორღის გროვის იქით ხელმა გაიელვა და მანქანისაკენ რაღაცა ისროლა. ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. ნასროლი მანქანას ბუფერზე მოხვდა, გაისმა აფეთქება. მანქანა ავარდა და მხოლოდ ინერციითღა გაირბინა ათიოდე მეტრი.

გენერალმა ვირტცმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, უნდოდა შტოლბერგისთვის რაღაც დაეყვირა, მაგრამ დაინახა, რომ ის უკვე აღარ იყო მანქანაში. ერთგულმა ადიუტანტმა თავს უშველა, ისე, რომ გენერალი არც გახსენებია. ვირტცი შიშმა შეიპყრო, მაგრამ გონება ნათელი ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, პორტფელი! რადაც არ უნდა დაუჯდეს, ეს უნდა გადაარჩინოს!..

ვირტცმა ხელი დაავლო რევოლვერ-ავტომატს, რომელიც იქვე მის გვერდით სავარძელზე იდო, კაბინიდან გამოვარდა და გაიქცა. გენერალს არ დაუნახავს, თხრილში როგორ ჩავარდა უხილავი მსროლელის ტყვიით მოცელილი მისი ადიუტანტი. ვირტცი ცდილობდა გზიდან რაც შეიძლებოდა შორს გაქცეულიყო. მას არ დაუნახავს, როგორ გამოვარდა ღორღის გროვის იქიდან ვიღაც, ორი ნახტომით გაჩნდა მანქანასთან და გაქცეული გენერალი მიზანში ამოიღო. ვირტცს რომ რუსული სცოდნოდა, გაიგებდა გამძაფრებულ შეძახილს, — ვერა ქვეწარმავალო, ვერ წამიხვალ!..

ამას მოჰყვა გასროლის ხმა და ტყვიის ამაზრზენი წივილი. გერმანელმა მოახერხა დამსხვრეული მანქანიდან საკმაო მანძილით წასვლა. სროლა შეწყდა. ვირტცი ცოტა დამშვიდდა და მოიხედა. ეს რა ამბავია? მან დაინახა, რომ მას, რაც ძალი და ღონე აქვს, ვიღაც ბიჭუნა მოსდევს. არა, გენერალი არ ცდებოდა. იგი გარკვევით ხედავდა ბიჭს — მათ შორის დიდი-დიდი, ოცდაათი მეტრი თუ იქნებოდა. გენერალმა ბიჭის სახეც კი დაინახა — გაბოროტებული, მრგვალი ბავშვური სახე. ბიჭი მორბო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ქვედა ტუჩზე მაგრად დაეჭირა კბილები. არა, აქ შეცდომა არ იყო: რიჰარდ ვირტცს — გერმანელ გენერალს, ვიღაც ლაწირაკი მოსდევდა! ისინი ერთმანეთის გვერდზე რომ დაეყენებინათ, ბიჭი გენერალს ქამრამდე თუ მისწვდებოდა.

გენერალმა ავტომატი შემართა და რამდენიმეჯერ გაისროლა. ბიჭი მიწაზე გაწვა და ახლა დაწოლილი განაგრძობდა სროლას.

— არა, გოლიკს ვერსად წაუხვალ!— გამოსცრა ბიჭმა ისევ. — ვერ წამიხვალ!

ჰიტლერელი ბიჭს ვეღარ ხედავდა და ისევ გაიქცა. ლიონკა წამოხტა, ესროლა, მაგრამ ისევ ააცდინა. გერმანელმა სროლითვე უპასუხა. ბიჭი ისევ გაწვა. მოწინააღმდეგებს შორის მანძილი იზრდებოდა. ორივე იზოგავდა ტყვიას. ლიონკამ თითქმის დაცალა დისკი. თეთრფრენჩიანი ჰიტლერელი კი, წითელი პორტფელი რომ ეჭირა ხელში, სულ უფრო და უფრო შორდებოდა. აი მან ფრენჩი გაიხადა და ისევ გაიქცა.

,,ეშმაკობს, ინიღბება, რომ უფრო გამიჭირდეს მოხვედრება‘‘ — გაიფიქრა ლიონკამ.

ოფიცერმა ფრენჩი რომ გაიხადა, მუქი ფერის პერანგის ამარა დარჩა. დამიზნება გაჭირდა, მისი ფიგურა სიმწვანეს ერწყმოდა.

უკვე მთელი კილომეტრია, რაც ლიონკა მტერს მოსდევს. მას ყველაზე მეტად იმისი ეშინოდა, ჰიტლერელს ტყეში არ შეესწრო. მაშინ ყველაფერი დაკარგული იყო. გერმანელი დიდ ნახტომებს აკეთებდა და ლიონკა ჩამორჩა. ამაზე ჩქარა კი ლიონკა ვერ ირბენდა: უშლიდა დიდი და მძიმე ჩექმები.

,,ამ ჩექმებით ვერაფრით ვერ დავეწევი, გამექცევა‘‘.— გაიფიქრა ლიონკამ, ერთი წამით ჩაჯდა, ჩექმები გაიხადა და ფეხშიშველი გაიქცა. ახლა მთელი უპირატესობა მის მხარეზე იყო. სირბილი გაადვილდა და მათ შორის მანძილმაც სწრაფად იკლო.

ვირტცი ყოველნაირად ცდილობდა ბიჭის შეჩერებას. ერთწამს შედგებოდა, ესროდა, მაგრამ ბიჭი ზიგზაგურად იწყებდა სირბილს და გერმანელი ვერაფრით ვერ ახვედრებდა. გაბოროტებული ლიონკა კი პირდაპირ ტყვიის შესახვედრად გარბოდა, მიწაზე აღარ წვებოდა. გერმანელ ოფიცერს ნერვებმა უმტყუნა, მან ისევ დაინახა ბიჭის აწითლებული, გაბოროტებული სახე, ერთხელ კიდევ ესროლა და გაიქცა.

,,ოღონდ ტყვიები მეყოფოდეს! ოღონდ მეყოფოდეს!‘‘ — ფიქრობდა ლიონკა და მისდევდა ფაშისტ ოფიცერს. სირბილში აღარ ისროდა, ერთი წამით გაჩერდებოდა, ესროდა და ისევ გარბოდა. მაგრამ ჰიტლერელი თითქოს შელოცვილი იყო, ტყვია არ ხვდებოდა. ამასობაში ტყეც ახლოვდებოდა.

—,,მშვიდად, უფრო მშვიდად!—აწყნარებდა საკუთარ თავს ლიონკა.—მთავარია არ იფიცხო. მშვიდად‘‘!

ერთი გარბენიც და გადაწყვიტა: რაც იქნება, იქნება!.. გაჩერდა, ჩაიმუხლა და სუნთქვაშეკრულმა დაუმიზნა. ლიონკა უკანასკნელ ტყვიებს ისროდა.

— ,,თუ ვერ მოვარტყი, — გადაწყვიტა მან, — ბოლომდე მივდევ და ჯიქურ დავახლი უკანასკნელ ტყვიას. მაშინ ან ეგ, ან მე. სულერთია‘‘...

მაგრამ მტერი უცებ შეტორტმანდა, რამდენიმე ნაბიჯი ბარბაცით გადადგა და მიწაზე დაეცა. ლიონკა წინ გავარდა. უკანასკნელი, რაც რიჰარდ ვირტცმა თავის სიცოცხლეში დაინახა, ბიჭუნას გაბოროტებული, ოფლში გაღვრილი სახე იყო.

ლიონკა მივიდა მოკლულთან, აიღო პორტფელი, ავტომატი და აქოშინებული წამოვიდა უკან. გზაზე მომავალმა ოფიცრის დაგდებული თეთრი ფრენჩი აიღო და მხოლოდ ახლა შეამჩნია მასზე გენერლის გრეხილი სამხრეები.

— ოჰო!., თურმე რა დიდი ჩიტი ყოფილა!— თქვა ხმამაღლა.

ლიონკამ ჩაიცვა გენერლის ფრენჩი, ყველა ღილზე შეიკრა, სახელოები, მუხლებს ქვემოთ რომ სწვდებოდა, აიკაპიწა და მიტოვებულ მანქანასთან მივიდა. ირგვლივ არავინ არ ჩანდა. ლიონკამ ის-ის იყო დააპირა გენერლის ფრენჩის გახდა, მაგრამ გადაიფიქრა: ამხანაგებს დავეწევი და ვაცინებო — გადაწყვიტა, მერე მანქანის კაბინაში შეიხედა. სავარძელზე გენერლის ქუდი იდო. ლიონკამ ქუდი დაიხურა. უკან, სავარძელზე რაღაც შეხვეულები დაინახა. ხელით მოსინჯა — ბუტერბროდები იყო. იქვე თეთრი პლასტმასის ყუთი იდო. სახურავი ახადა, ქილაში რაღაც თეთრი ფხვნილია, მარილის მსგავსი, ლიონკამ მოლოკა. ასეა — მარილია! ესეც ძია ვასილისთვის საჩუქარი. საკეცი დანა, ჩანგალი და კოვზი ჯიბეში ჩაიდო. ეს ვასილ გრიგორიევიჩს, ხოლო საპარსავსა და ფუნჯს რომელიმე წვეროსანს მისცემს.

მოკლული ადიუტანტის რევოლვერიც აიღო... ახლა უკვე წასვლის დრო იყო. ლუგის მხრიდან ხიდზე სატვირთო მანქანა გამოჩნდა. მოპირდაპირე მხრიდანაც მოდიოდნენ მანქანები. ლიონკამ გზა გადაჭრა და ტყეს მისცა თავი. ,,კიდევ კარგი, რომ გენერალი აქეთ არ გამოიქცა, — გაიფიქრა ლიონკამ. — თორემ აქ ვერაფერს გავაწყობდი. შეშინებულს თავგზა აებნა და სხვა მხარეს გაიქცა.‘‘

რაზმში ლიონკა გვიან დაბრუნდა. რაც არ უნდა იყოს, თხუთმეტი კილომეტრი ჰქონდა გასავლელი. ვასილი გრიგორიევიჩი კოცონთან იჯდა და უკვე მერამდენედ ეკითხებოდა მზვერავებს რა შეიძლებოდა ლიონკას შემთხვეოდაო. მზვერავები ამბობდნენ, ყველამ გარკვევით გავიგონეთ მისი ნიშანი და ვიფიქრეთ აგერ-აგრე წამოგვეწევაო.

ვასილი გრიგორიევიჩი ის-ის იყო აპირებდა ლიონკას საძებრად ჯგუფის გაგზავნას, რომ კოცონთან თვითონ ლიონკა გამოჩნდა.

იგი კოცონთან მივიდა გენერლის თეთრ ფრენჩსა და ქუდში გამოწყობილი, კისერზე ორი ავტომატი ეკიდა, იღლიაში კი წითელი პორტფელი ჰქონდა ამოჩრილი. ისეთი სასაცილო შესახედავი იყო, რომ ერთბაშად ახარხარდა ყველა. ლიონკამ კი სერიოზული სახე მიიღო, ვასილი გრიგორიევიჩთან მივიდა და მოახსენა:

— მზვერავი — პარტიზანი ლეონიდ გოლიკოვი დავალებიდან დაბრუნდა!

— ნუ ტაკიმასხრობ, ლიონკა სად იყავი?

ლიონკას ერთი სული ჰქონდა კიდევ ეთქვა რაიმე სასაცილო და პარტიზანები გაემხიარულებინა, მაგრამ მუხარევმა შეაწყვეტინა:

— ეს რა გიჭირავს? — და წითელი ტყავის პორტფელზე მიუთითა.

— ამ პორტფელში საბუთებია. გენერალს ავართვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მაჩვენე! — ვასილ გრიგორიევიჩმა საქაღალდე ჩამოართვა, გახსნა, რამდენიმე დოკუმენტს გადახედა. გერმანული მან ცუდად იცოდა, მაგრამ საცეცხლე წერტების განლაგების რუკა რომ დაინახა, აჩქარდა.

— ახლავე წავიდეთ ბრიგადის შტაბში: როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტებია. ძია ვასილ, წამოიყვანე ორი კაცი დაცვისათვის, აბა წავიდეთ!

— მეც წამოვალ თუ შეიძლება? — სთხოვა მიტიაიკამ.

— წამოდი.

ლიონკა, ისევე, როგორც იყო, გენერლის ფრენჩში, აკაპიწებული სახელოებით წარსდგა შტაბის უფროსის ტროფიმ პეტროვის წინაშე.

— ერთი ამას დახედეთ, როგორ გამოწყობილა! — გაიცინა მან.

ვასილ გრიგორიევიჩმა მოახსენა. შტაბის უფროსმა უცებ მიიღო სერიოზული სახე. ვიდრე თარჯიმანს მოიყვანდნენ, მან წვრილად გამოჰკითხა ლიონკას სად იშოვნე ეს დოკუმენტები, რა პირობებშიო, მერე მისი ნაამბობი რუკაზე შეამოწმა. ბოლოს ლიონკას სთხოვეს გარეთ მოიცადეო, ხოლო თვითონ პეტროვი, თარჯიმანი და ვასილი გრიგორიევიჩი ბლინდაჟში ჩაიკეტნენ. ლიონკა კი გარეთ ხის კუნძზე იჯდა და ჰყვებოდა, რაც გადახდა.

— უი, სულ არ დამავიწყდა! —გაახსენდა მას უცებ. — მე ხომ ნადავლი მარილი მოგიტანე!.. მან ჯიბიდან პლასტმასის ქილა ამოიღო და ძია ვასილს გაუწოდა.

შტაბში ერთი ფაციფუცი ატყდა. სასწრაფოდ გამოიძახეს რადისტი. იგი შტაბის მიწურში შევიდა, უმალვე გამობრუნდა და პირდაპირ რადიოსადგურს ეცა. ბლინდაჟიდან ვასილ გრიგორიევიჩიც გამოვიდა.

— ყოჩაღ, ლეონიდ! — უთხრა მან.— ასეთ მასალებს გამოცდილი მზვერავიც კი ას წელიწადში ერთხელ თუ იშოვნის. ამის შესახებ ახლა მოსკოვს აცნობებენ. ხედავ რამხელა ფასი აქვს შენს დოკუმენტებს!

* * *

ვასილ გრიგორიევიჩი ჩაფიქრებული ბრუნდებოდა ბრიგადის შტაბიდან. გვერდით ძია ვასილი მოჰყვებოდა. ორივე დუმდა. მუხარევს ის-ის იყო აცნობეს სასიამოვნო ამბავი: ლიონკა გოლიკს საბჭოთა კავშირის გმირობაზე ადგენენ. ეს ამბავი არაჩვეულებრივად ახარებდა და თან უჭირდა ლიონკას მოცილება. ბიჭი ბრიგადაში გადაჰყავდათ. საბრძოლო ცხოვრების ამ თვეების მანძილზე ორივენი ძალიან მიეჩვივნენ ლიონკას.

— გმირობას ყველას როდი აძლევენ,— დაარღვია მდუმარება ძია ვასილმა. — ნამდვილად ისე თქვეს, გმირობაზე ვადგენთო?

— ჰო, ტროფიმმა თქვა, — მოსკოვიდან დაშიფრული წერილი მოვიდა, რომელშიც ნაბრძანებია ოპერაციის ყველა მონაწილე გმირობაზე წარმოადგინეთო. მონაწილე კი ვინ არის ლიონკას მეტი და ისიც სულ თოთხმეტი წლისაა. ამ საქმეს ახლა წყალი არ გაუვა. გვიბრძანეს, დაჯილდოების ფურცელი შეავსეთო. ბიჭის მოცილება კი არაფრით არ მინდა.

—ვასილ გრიგორიევიჩ, ნუთუ არაფრის მოხერხება არ შეიძლება? ის ჩვენთანაც ძალიან კარგად გრძნობს თავს. ყურადღება არ აკლია.

— განა არ ვუთხარი? ტროფიმს გაგონებაც არ უნდა. ამბობს იქნებ სასწავლებელში გაგზავნონ, მანამდე კი შტაბის დაზვერვაში იყოსო. სწორია. ცხადია, ბიჭს გაფრთხილება უნდა... როგორც ჩანს, გამოშშვიდობება მოგვიწევს ჩვენს გოლიკთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა ზ ი  ქ ი ლ ა ს ო ნ ი ა

# ვინ არის ჩემი მეგობარი?



ვინ არის ჩემი მეგობარი?
ზაფხულის ახტაჯანა ზენა ქარი.
მინდვრებში რომ დადის
სტვენა-სტვენით,
კაბა უფრიალებს ჭრელა-ჭრელი.

ვინ არის ჩემი მეგობარი?—
რუდან მოვარდნილი მღვრიე ღვარი.
მოდის, მოლიკლიკებს, იწმინდება,
ღაღანა ბაღებთან იწინდება.

ვინ არის ჩემი მეგობარი?—
რიონი, იორი, დინჯი მტკვარი.
რომელთაც მხარულით ვეჯიბრები,
თმებზე სიყვარულით ვეჭიდები.

ვინ არის ჩემი მეგობარი?—
ვერცხლით დაფერილი მთა და ბარი,
იფნები, თხემლები, მურყანები,
დაბლები, მაღლები, უღრანები.

ვინ არის ჩემი მეგობარი?—
ბულბული, შტოზე შემომჯდარი,
სიმღერის გულს რომ ეფიცხება,
ალალ სიყვარულს რომ გვეფიცება.

ვინ არის ჩემი მეგობარი?
შხაპუნა, უცები, ჩქარზე ჩქარი,
ცაში მოლივლივე მზეკარები—
შევდივარ, შევხარი, ვეკარები.

ვინ არის ჩემი მეგობარი?—
ის, ვინც გამისწორა მხართან მხარი,
მითხრა—საქართველო ლამაზია,
მის თაყვანისცემას დამაჩვია,
მითხრა—სილამაზე ათასია.

ზოგი ოქრო არის, ზოგი ალმასია,
ჩვენ კი საქართველომ დაგვარწია,
ჩემთვის საქართველო ლამაზია,
ყველაზე, ყველაზე ლამაზია!

მ ზ ი ა  ჩ ხ ე ტ ი ა ნ ი

# კორობლის მთაო!

შენ ისევ მიხმობ, როგორც სინდისი,
ჩემი კორობლის ლურჯო ცისკარო,
რომ მხრებზე შენი ივნის-ივლისი
მარგალიტებად კვლავ დავიყარო!
ლაწვზე ავინთო ფერი შვინდისა,
წიფლებში ქართან გავიქილიკო...
შენ ისევ მიხმობ, როგორც სინდისი,
ჩემი კორობლის თეთრო ბილიკო!
სიყრმისეულო ფიქრო ფერადო,
კვლავ მერცხალივით ამიფრინდები,
ვერ წავუყრუებ შენს ხმას ვერასდროს,
შენს დაძახილზე ვერ გავფრინდები!
ყურის ბიბილოს, როგორც საყურე,
კვლავ მომანათე შინდის ლალები...

მზე გიზგიზებს თუ თავზე დამყურებს
ელვარე მზერა ამორძალების!
ცაა თუ მათი სული უბიწო,
ლაჟვარდისფრად რომ ამიკიაფე!
შენს მართალ თვალებს რა დავუფიცო,
ჩემს გულს ოცნება საით მიაფრენს...
შენს მართალ თვალებს რა დავუმალო,
მოვსულვარ—მკერდზე ისევ მოგენდო,
შენსავით ავწვდე ზეცას უმაღლესს,
კუნელის ბუჩქებს ცეცხლად მოვედო...
ან ავბიბინდე ოქროს ჯეჯილად
და სასიკეთოდ დავითავთავო
შენს თბილ უბეში, ჩემო დედილო,
კორობლის მთაო, ალალმართალო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

# ბიჭები კიბეზე ადიოდნენ



ნოდარ შამანაძის მოთხრობამ — „ბიჭები კიბეზე ადიოდნენ“ „პიონერის“ კონკურსში წამახალისებელი პრემია მიიღო.

მოთხრობა

## I

ღამის ბინდბუნდი ჯერ კიდევ არ იყო კარგად გაფანტული, თებროლიამ რომ გაიღვიძა. თითქოს მამლების ნაგვიანევ ყივილს პირველად უსმენსო, ერთხანს გაყუჩებული იწვა, მერე ტანთ ჩაიცვა, ფეხი ჩლატებში წაყო და დერეფანში გავიდა. ეზოს რომ გახედა, შეფიქრიანდა: ღობის ახლოს რაღაც თეთრი ჩანდა, თითქოს ზეწარი დაუფენიათო. მოხუცმა თვალი მოიფშვნიტა, ეგონა, მეჩვენებაო.

„რა უნდა იყოს ნეტა?“ — გაიფიქრა და „ზეწარს“ აჩქარებით მიუახლოვდა.

— ჭიშკარი! — წამოიძახა თებროლიამ და პირჯვარი გადაიწერა: — ღმერთო, ნუ გა[illegible]რევ, შენი სახელის ჭირიმე!

მართლაც საოცარი ამბავი იყო: თებროლიას ჭიშკარი ჩამოეგლოთ, ღობის ძირას მიეყარიათ და ზედ გაზეთები გადაეფარებინათ.

თებროლია ფალავანდიშვილს სოფელში მოფერებით ფუტკარას ეძახდნენ. მთელი თავისი დღე და მოსწრება მართლაც ფუტკარივით შრომობდა და დაფუსფუსებდა. კუნაპეტივით შავ თმაში ერთი ჭაღარაც არ ერია, უეცრად რომ დაქვრივდა და ხუთი ერთმანეთზე თავწაუწეველი ობოლი დარჩა. [illegible] ქალი დღე და ღამეს ასწორებდა, ბალღებისთვის უმამობა რომ არ ეგრძნობინებინა და ნამდვილ ადამიანებად აღეზარდა. რომ იფიქრა, შვილები წამომესწრნენ, [illegible] და ეს არისო, ომიც დაიწყო. მისი ბიჭები ჯარში პირველივე გაწვევაზე წაიყვანეს. ოთხი ვაჟკაციდან სამი ფრონტზე დაეღუპა, შინ რამაზი დაუბრუნდა მხოლოდ, რძლად ლიტველი ქალი ჩამოუყვანა. ომგადახდილი მეომარი ერთხანს სოფელში ცხოვრობდა, მამა-პაპურ კერაზე ტრიალებდა, მშობლის გულს ახარებდა; მერე დაჰკრა ფეხი და ცოლეულებთან წავიდა ბალტიისპირეთში, იქ დასახლდა და სამსახურშიც მოეწყო. რამაზი დედას ბევრი ეხვეწა, წამოდი, ჩვენთან ჩიტის რძეს არ მოგაკლებთო. მოხუცმა შეიცხადა: სანამ სული მიდგას, ჩემი ქმრის ნაწვავ-ნადაგ სახლ-კარობას არ მოვშორდები და კერას არ გავაციებ! ჩიტის რძეც აქა მაქვს და ირმის რძეც, სხვაგან ჩემთვის თაფლიც შხამი იქნებაო.

თებროლიას მეხუთე შვილი გოგო იყო და ქალაქში გათხოვდა. დარჩა ფუტკარა ღვთის ანაბარა. ყველას ეცოდებოდა მრავალჭირგადანახადი, მარტოხელა მოხუცი ქალი, მისკენ მუდამ თვალი ეჭირათ, ამხნევებდნენ და ეხმარებოდნენ. ამიტომაც გაოცდა, ჩამოგდებული ჭიშკარი რომ ნახა.

გაზეთები წამოკრიფა და იქვე, ღობესთან მიყარა. მერე ჭიშკარს ცალი თავი აუწია, ბოძთან მიათრია და, ისის იყო კიდეც წამოაყენა, რომ უეცრად ხელიდან გაუვარდა და მარჯვენა ფეხზე დაეცა. მწვავე ტკივილი იგრძნო, ჩაჯდა, ჩლატი წაიძრო და ცერა თითს ხელი გადაუსვა. ტკივილმა ცოტა რომ გაუარა, წამოდგა და ჭიშკარს ისე დააცქერდა, თითქოს ამ წუთში პირველად დაინახა ძირს დაგდებულიო.

— ნწუ! — თავი გადაიქნია თებროლიამ, — ერთი ჩემი დღე შუაზე გაყოფილიყო და ამ ჭიშკრის ჩამომგდებისთვის მომესწრო! ვუჩვენებდი სეირს. როგორ, მარტოხელა რომ ვარ, დაბალ ღობედ ხომ არ დამინახეს? თუ იხუმრეს, მით უარესი: სამასხარაო კბილები კარგახანია მოვიცვალე!

მოხუცი ქალი დაიხარა, ჭიშკრის აწევა კიდევ დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

— მივალ აგერ, ნიკალას დავუძახებ, დამეხმარება, თვარა ეს ჭიშკარი რაღაც ფარსაგს დამმართებს. — ჩაიბუტბუტა თებროლიამ და ორღობეში გავიდა.

ფიქრში გართულმა ვერც გაიგო, ნიკალას ეზოს ისე მიუახლოვდა და გაკვირვებისაგან კინაღამ შეჰყვირა: ჭიშკარი იქაც ჩამოხსნილი იყო, ღობის ძირას ეგდო და მასაც გაზეთები ჰქონდა დაფარებული.

თებროლია ეზოში შევიდა და დაიძახა:

— ნიკალა!

ვერ გაიგონეს.

ოდას მიუახლოვდა, აივანს ახედა და ხმას აუწია:

— ნიკალა!

სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ეზოში კი ჩიტუნები ფრთხიალებდნენ და მზის მოლოდინში გალობით თავს იკლავდნენ.



„ნიკალა წუხელ ხარ-ურმით წისქვილში მიდიოდა, ალბათ ჯერ არ დაბრუნებულა. ზინა ძილისგუდას კი ყურთან ზარბაზანიც რომ დაუცალო, მაინც არ გაიღვიძებს. ისევ სჯობია, პავლე შევაწუხო“...— გაიფიქრა და ეზოდან გავიდა.

„ეს არის ქალი? ამ გახურებულ ალოზე მზემ წვერის კვრა რავა უნდა მოგასწროს?! საწყალი ნიკალა წელებზე ფეხს იდგამს , მისი სულის ჩაფერხნება არ არის, მაგრამ რაი მერე, კაცს თუ ცოლ-შვილი არ უვარგა, კაპიკია მისი ფასი“.

მიდიოდა თებროლია და ზინაზე თანდათან ბრაზდებოდა, ჭიშკარი თითქოს აღარც ახსოვდა. უეცრად პავლეს ყვირილი შემოესმა და ფიქრებიდან გამოერკვა.

— კაცი ეს არის! ცოლშვილიანა სულ ფეხზე ტრიალებს ჯარასავით. როდის სძინავს და როდის ღვიძავს, ვერც გაიგებ! — შეაქო თებროლიამ მეზობელი და კიდეც მიუახლოვდა მის სახლს. პავლეს ხელში ჩაქუჩი ეჭირა, ჭიშკარს უკაკუნებდა, თან ყვიროდა გაბრაზებული.

— დილა მშვიდობისა, პავლე! — თავი დაუკრა თებროლიამ.

პავლემ სალამი დაუბრუნა, მერე ჭიშკარს ჩაქუჩი დაარტყა გულმოსულად.

— ხედავ, რა მიქნეს, ბიცოლა? ჩემი გვარ-ჯილაგისათვის რომ არ გაუბედავთ, ის გამიბედეს, თავზე ლაფი დამასხეს, დამამცირეს!..

პავლე სათქმელს აგვიანებდა. ჩანდა, გამხელა ერცხვინებოდა.

— რა მოხდა, აღარ იტყვი, შე კაცო? — ჰკითხა თებროლიამ.

— წუხელ ჭიშკარი ჩამომიგდეს!.. — ისე ამოილუღლუღა, თითქოს გულიც თან ამოატანაო.

— ჭიშკარი ჩამოგიგდეს?! — გაიკვირვა თებროლიამ და უხმოდ გაიცინა.

პავლეს მისი სიცილი არ ეჭაშნიკა, მაგრამ ვერაფერი ჰკადრა და გულის ჯავრი ჭიშკარზე ამოიყარა, ჩაქუჩი მთელი ძალით დაჰკრა.

— მე ვაჩვენებ, როგორ უნდა მასხრად აგდება!

— ვის ემუქრები, პავლე? — წყნარად ჰკითხა თებროლიამ.

— ვინც ეს ჩამომიგდო!

— მეც იმას ვეძებ, მასწავლე, დედაშვილობას! — კვლავ გაიცინა თებროლიამ, თანდათან ხუმრობის გუნებაზე მოდიოდა.

— როგორ, შენც ხომ არ ჩამოგიგდეს?!

— აპა! — თავი დაუქნია თებროლიამ. — მეგონა, მარტოხელობით დამიბრიყვეს და აბუჩად ამიგდეს-მეთქი, ახლა აღარ ვნაღვლობ: შენთვისაც ჩამოუგდიათ, ნიკალასთვისაც...

— ნიკალასთვისაც?! — უეცრად გაიცინა პავლემ.

— ჰო! მისი ჭიშკარი ახლაც ღობის ძირასაა მიგდებული...

თებროლია კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ამ დროს ქალის წივანა ხმა გაისმა.

— მგონი ოლღას ჭიშკარიც ჩამოუგდიათ! — ჩაილაპარაკა პავლემ.

ქალის ხმას კაცის ყვირილიც მოჰყვა.

— ეს კი სარდიონია. — თქვა თებროლიამ.

სულ მალე ოლღას ჩამოგდებულ ჭიშკართან ხალხმა მოიყარა თავი. მის გამკივან ხმაზე ისეთებიც წამომდგარიყვნენ, დილის ძილი ყველაფერს რომ ერჩიათ. პავლე და თებროლიაც მივიდნენ. გვიან-გვიან ზინაც გამოჩნდა. რომ გაიგო ყვირილის მიზეზი, ოლღას უსაყვედურა:

— რა იყო, შე ქალო, რომ შეყარე ქვეყანა! მე მეგონა ხანძარი გაჩნდა-მეთქი და თავზარი დამეცა.

ჩემთვის ჭიშკრის ჩამოგდება ხანძარიც არის და უფრო მეტიც. შენთვის კი შეიძლება სულაც არაფერი იყოს! — ისე მიახალა ოლღამ, თითქოს დამნაშავე ზინა ყოფილიყოს.

— ბოდიში შენთან! — წარბები შეყარა ზინამ, — ვერც გამიბედავენ ჭიშკრის ჩამოგდებას.

— რაო? ვერ გაგიბედავენ? ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიქირქილა პავლემ და ხალხს ნიშნის მოგებით გადაულაპარაკა: — ვერ გაუბედავენ.

— აქეთ რომ მოდიოდი, შენი ეზოს ჭიშკარი თუ გაალე? — ჰკითხა თებროლიამ ზინას და სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაჰკრა.

— აბა, ზედ ხომ არ გადმოვაფრინდებოდი!

აქა-იქ ფხუკუნი გაისმა. ზინას ეგონა, ჩემი მოსწრებული პასუხი მოეწონათო, და თვითონაც გაიცინა.

— რომ აღებდი, ჭიშკარმა თუ დაიჭრიალა? — აღარ ეშვებოდა თებროლია.

ზინა შეეჭვდა და ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა: არც მახსოვს, გავაღე თუ არაო. მერე უცებ შებრუნდა და შინ ფეხაჩქარებით წავიდა.

— მიდი, მიდი, ჭიშკრის შელება არ დაგავიწყდეს! — დაადევნა პავლემ სიცილით. სხვებმაც გაიცინეს, მხოლოდ სარდიონი იდგა წარბშეკრული და თეთრ წვერზე ხელს ნერვიულად ისვამდა.

— სასაცილო კი არა, სატირელი გვაქვს... — მძიმემძიმედ წარმოთქვა სარდიონმა,— კაცი დავბერდი და ასეთი რამ არ გამიგონია: მთელ უბანს ჭიშკრები ჩამოგვიგდეს, მიგვიყარ-მოგვიყარეს. აქ სადღაც ძაღლის თავი იმალება, არ უნდა ლაპარაკი!

— იქნებ შეთქმულება მოგვიწყვეს, ვინ იცის!—იხუმრა ვიღაცამ.

— ეს სულ საირხლების ოინია! —წამოიძახა შავულვაშა მეველემ. — ამას წინათ საირხლებს ჩვენს საძოვარში ძროხები დავუჭირე და კანტორაში ჩავრეკე. ძალიან განაწყენდნენ. აშკარად რომ ვერაფერი დაგვაკლეს, დაგვეცნენ ალბათ და ჭიშკრები ჩუმად ჩამოგვიყარეს.

— სწორი ხარ, ნიკა. ძროხების ამბავი სულ აღარ გამახსენდა. — უთხრა პავლემ.

— საირხლები ვის შეარჩენენ რამეს! — დაემოწმა თებროლიაც.

— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს! — ულვაშები გადაიგრიხა ნიკამ.

— დამნაშავემ ერთი ცოდვა ჰქნა, დამბრალებელმა ათასიო.. შეიძლება მართლაც საირხლებმა იმამაძაღლეს, მაგრამ რა საბუთს ვეყრდნობით? — თქვა თებროლიამ.

— გაზეთები გავსინჯოთ, იქნებ რაიმე კვალი აღმოჩნდეს! — შესძახა პავლემ.

გასინჯეს, დაათვალიერეს. ზოგი გაზეთის კიდეები რაღაც წარწერებით იყო აჭრელებული. ბევრი უკირკიტეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ წაიკითხეს.

— ჯანგირაც აგერ ყოფილა! აჰა, წაიკითხე, ბიჭო, ტყუილად გეძახიან დოცენტს? — გაუცინა ნიკამ ოლღას პირმშოს, შეუმჩნევლად რომ მოსულიყო და უფროსების ლაპარაკს ყურდაცქვეტილი უსმენდა.

ჯანგირამ „დოცენტობა“ შეიშვნია, დინჯად მივიდა, გამოართვა გაზეთი, დააცქერდა, გადაატრიალა, გადმოატრიალა და როდის-როდის დაასკვნა: ასოები რუსულს კი ჰგავს, მაგრამ რუსული არ არისო.

— რუსული რომ იყოს, შენ დაგიძახებდი? — იუკადრისა ნიკამ. — რუსული ჩვენც ვიცით, საქმე ისაა, საზღვარგარეთულს რომ წაიკითხავ. უცხო ენას ხომ სწავლობთ?

— ჩვენ გერმანულს ვსწავლობთ, ეს კი რაღაც სხვა ენაა. — უპასუხა ჯანგირამ და გაზეთი დაუბრუნა. ბოლოს ელენე მოიყვანეს — ინგლისურის მასწავლებელი. მან დახედა თუ არა წარწერებს, ერთი მხიარულად ჩაიკისკისა და სულმოუთქმელად გააგრძელა: Fantomas, Fantomas, Fantomas...

— რაიო? — იკითხა სარდიონმა.

— ფანტომასიო, — უპასუხა ნიკამ, — პირველად გესმის თუ რა?!

— მართლა ფანტომასის ნაეშმაკარია, თორემ ხორციელი კაცი ამდენ ჭიშკარს ისე როგორ ჩამოხსნიდა თვალი რომ არვის მოგვეკრა? — წამოიძახა პავლემ.

— სხვა თუ არაფერი, სარდიონის ძაღლს ვერ წაუვიდოდა!— თქვა თებროლიამ.

— ვინ იცის, იქნებ ფანტომასი აგერ ახლაც ჩვენთან დგას და გვისმენს! — გაიცინა სარდიონმა.

— დავიშალოთ, თორემ ვაი მისი ბრალი, ვინც იმ ჯადოშარზე ცუდ რამეს იტყვის! — ჩაიხითხითა ნიკამ და შინისკენ გასწია, სხვებიც ხუმრობა-ოხუნჯობით წავიდ-წამოვიდნენ. მხოლოდ ოლღას არ ეხუმრებოდა, კიდევ კარგახანს ტრიალებდა ეზოში და ჭიშკრის ჩამომგდებს წყევლა-კრულვას უთვლიდა.

## II

როგორც კი ოლღა დამშვიდდა და შინ შევიდა, ჯანგირა ქლიავზე აცოცდა, იქიდან ღობეს გადაევლო, ვენახებში გაძვრა-გამოძვრა, ნიკალას სახლს უკანა მხრიდან შემოუარა, თხილის ბუჩქებში ჩაცუცქდა, მერე ორი თითი პირში იტაკა და გაბმულად დაუსტვინა. ერთხანს განაბული იყო და სახლისკენ თვალის ცეცებით იყურებოდა. შემდეგ კიდევ დაუსტვინა. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. ის იყო პირისკენ მესამედ წაიღო ორი თითი, რომ მუხლაყრილ სიმინდებში თორმეტიოდე წლის ბიჭი გამოჩნდა, თვალებში ჯერ კიდევ ძილჩამდგარი ნელ-ნელა მობაჩუნობდა.

— აქეთ, ბუხუტი!

— ეს იყო ჩვენი პირობა? — მიახალა გაბრაზებით ჯანგირამ, ბუხუტი როგორც კი მიუახლოვდა.

— სოსო და ქუჩიკო სად არიან?

— ლოგინში! — შემოუძახა ჯანგირამ. — შენი არ იყოს, ისინიც ძილისგუდებად იქცნენ, ახლა ისევ გამოტილები წევან და ხვრინავენ ალბათ...

— დამნაშავე ვარ, დოცენტ...—წამოიწყო ბუხუტიმ.

— კაი, კაი, ახლა ბოდიშების დრო არ არის, სოსო და ქუჩიკო უნდა გავაღვიძოთ! — შემარიკებლური კილოთი უთხრა ჯანგირამ და ვენახის შარებს სირბილით გაჰყვა. ბუხუტიც აედევნა. რომ დარწმუნდა, „დოცენტმა" გული მოიბრუნაო, წასჩურჩულა:

— ჭიშკრები ნახეს?

— ნახეს კი არა, ერთი ამბავი იყო! — მიუგო ჯანგირამ და სირბილს უმატა.

სულ მალე ოთხივენი საიმედო სამალავში ისხდნენ. სანამ იმ დილის ამბავს მოუყვებოდა, „დოცენტმა" ყველა სათითაოდ შეახურა და პირობა ჩამოართვა: დილით ყოველთვის დათქმულ დროზე გავიღვიძებთო.

...ოთხივე ძმაკაცი თანაკლასელები არიან. გამოცდები დაუმთავრდათ და მეექვსეში ისე გადავიდნენ, საშემოდგომო არცერთს არ გამოჰყოლია. საშემოდგომო კი არა და, ზოგ საგანში ხუთიც კი მიიღეს. განსაკუთრებით ჯანგირამ ისახელა თავი: ისეთი ძნელი ამოცანა ამოხსნა, ყველა გააკვირვა. მათემატიკის მასწავლებელმა თავზე ხელი გადაუსვა და ღიმილით უთხრა: თუ სწავლას ასე განაგრძობ, დოცენტობა ხელში გაქვსო. მას შემდეგ თანაკლასელებმა დოცენტი შეარქვეს.

## III.

ერთ საღამოს სოფლის კლუბში დიდი მხიარულება და გამოცოცხლება იყო: „ფანტომასს" უჩვენებდნენ. სურათმა განსაკუთრებით ბავშვები მოაჯადოვა. ჯანგირა სკამზე ვერ ეტეოდა, ბორგავდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. დროდადრო აღტაცებას ვერ მალავდა და ხან ერთ მეგობარს ეხვეოდა, ხან მეორეს. ფილმი რომ დამთავრდა, ბიჭი უეცრად დადუმდა, კლუბიდან ჩაფიქრებული გამოვიდა, ფართო გზას გვერდი აუქცია და ზვარს გაჰყვა ნაპირ-ნაპირ. სულ მალე ბუხუტი წამოეწია და მხარზე ხელი დაჰკრა:

— აქეთ რა გინდა, ფანტომასთან ხომ არ მიდიხარ?

— ფანტომასთან თუ არა, შენ კი დაიწუნებ მასთან წასვლის! — მიუბრუნდა ჯანგირა და მკლავში ხელი ჩაჰკიდა. ამასობაში სოსომ და ქუჩიკომაც მოირბინეს.

— ვაჰ, ეს რა ვნახე! — შესძახა ქუჩიკომ,—თმა ყალყზე დამიდგა!

— ყალყზე რა დაგიდგებოდა, რაც არა გაქვს! — გაიცინა სოსომ და გადახოტრილ თავზე ხელი წაუტყაპუნა. ქუჩიკომ სამაგიეროს გადახდა მოუნდომა. სოსოსკენ წაიწია, მაგრამ წინ ჯანგირა გადაუდგა, ქეჩოსპირში ხელი მოჰკიდა.

— შეგეშინდა?

— რისი შემეშინდა?! — გაიოცა სოსომ.

— ახლა არა სთქვი, თმა ყალყზე დამიდგაო.

— დოცენტ, არ მოგატყუოს, შეეშინდა! — ჯანგირას გვერდით ამოუდგა ბუხუტი.

— შემეშინდა, კი! რისი უნდა შემშინებოდა?

— აკი თმა ყალყზე დამიდგაო? — არ ეშვებოდა ჯანგირა.

— ფანტომასი შემეცოდა. არ დაეწიონ და არ მოკლანმეთქი...

— გიჟია! ფანტომასს ვინ დაეწეოდა? არა, დოცენტ? — გაიცინა ბუხუტიმ, თუმცა თვითონაც ეგონა, ან ახლა დაეწევიან, ან ახლაო. მხოლოდ მაშინღა დამშვიდდა, ავტომანქანა თვითმფრინავად რომ იქცა და ფანტომასმა ჰაერში არწივივით შეინავარდა.

— რატომ, ხომ შეიძლებოდა დასწეოდნენ? — თქვა სოსომ.

— ჰი, ჰი, ჰი! დასწეოდნენო... მაშინ ფანტომასიც აღარ იქნებოდა! ჰო, დოცენტ? — ჯანგირას მხარზე ხელი დაადო ქუჩიკომ.

თითქოს მეგობრების დავას ყურადღებას არ აქცევსო ჯანგირა უხმოდ მიდიოდა... მერე ერთბაშად ბუხუტის მიუბრუნდა და ჯიქურ ჰკითხა, შენ თუ გინდა ფანტომასობა? — ჯანგირამ მხარში ხელი სტაცა ბუხუტის.

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— ჰა, თქვი! — ხმას აუწია ჯანგირამ.

— მინდა! — წამოიძახა ბუხუტიმ.

— შენა? — ახლა ქუჩიკოს წაატანა ხელი ჯანგირამ.

— მეც!

— შენ რაღას იტყვი? — ბოლოს სოსოს ჯერიც დადგა.

— ფანტომასობა ვის არ უნდა! — გაიცინა სოსომ.

— ჰოდა, ფანტომასობა თუ გინდათ, მე უნდა დამიჯეროთ, — წამოიწყო ჯანგირამ და წელში გასწორდა. — ისეთი რაღაც მოვიფიქრე, მთელ სოფელს ფეხზე დავაყენებთ!

ჯანგირამ ისე ფერადოვნად დაუხატა მეგობრებს თავისი ჩანაფიქრი, ყველანი აჭყლოპინდნენ და თავი ნამდვილ ფანტომასებად წარმოიდგინეს. იყო პატარა უთანხმოებაც. ბუხუტიმ დაიჟინა, სხვას ყველას ჩამოვუაროთ, ოღონდ თებროლეა ბებიას ნუ ჩამოვუხსნით ჭიშკარსო. ის იყო ამ წინადადებისათვის ჯანგირასაც მხარი უნდა დაეჭირა, რომ სოსომ წამოიძახა, სარდიონ პაპასაც ნუ შევაწუხებთ, ცოდოაო. მერე ქუჩიკომაც წამოყო თავი,— ჭიშკარს ნურც ნუცა ბიცოლას ჩამოვუგდებთ, გუშინწინ ყელშეხვეული შემხვდა, თანაც ახველებდა, მგონი უქეიფოდ არის და ვაი თუ ავადმყოფობა გაურთულდესო. ეგრე როგორ იქნებაო, — წამოხტა ზეზე ჯანგირა, — თუ ისიც გამოვტოვეთ, ესეც გამოვტოვეთ, იმასაც ვუხათრეთ, ამასაც ვუხათრეთ, რაღა ფანტომასობა გამოგვივა? როცა ყველას ერთ ტაფაში მოვაქცევთ და ერთნაირად მოვეკიდებით, მაშინ ვეღარ მოიტანენ ჩვენზე ეჭვს, თორემ ისე სულ ადვილად მიგვიხვდებიან და ხელსაც იმწამსვე დაგვადებენო.

— ქინძისთავი რომელსა გაქვთ? — იკითხა უეცრად ჯანგირამ. არცერთს რომ არ აღმოაჩნდა, ჯანგირა ღობესთან მივიდა. ხმელ აკაციას ეკალი შეატეხა და მეგობრებს განუცხადა: ძმობა უნდა შევფიცოთ ერთმანეთსაო. მერე ეკლით შუა თითი გაიკაწრა, სისხლი გამოიდინა, სხვებიც ასე მოიქცნენ. შემდეგ განკაწრი თითები წყვილ-წყვილად ერთმანეთზე მიატყუპეს.

— ჩვენ უკვე ნამდვილი ძმები ვართ! — თქვა ბუხუტიმ.

— ფანტომასები! — დაუმატა სოსომ.

— დიახ, ჩვენ ფანტომასები ვართ! — შესძახა ჯანგირამ.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. ბიჭები ფეხზე იდგნენ, ერთმანეთს უხმოდ შეჰყურებდნენ გაღიმებულნი და მთვარის შუქზე ისე ჩანდნენ, თითქოს მიწიდან ოთხი ერთნაირი ზომის ქანდაკება ამოზრდილაო.

## IV

ჯანგირას ძილში ხბოს გამწარებული ბღავილი ჩაესმა. ლოგინზე თვალების ფშვნეტით წამოჯდა და ყური მიუგდო.

— მგონი ჩემი ლამაზოა! — ჩაილაპარაკა, მერე წამოხტა, შარვალი აჩქარებით ჩაიცვა და ეზოში გავარდა.

ოლღას ძროხა გამოეწველა, ლამაზოსაც თავისი წილი რძე უკვე გამოეწოვა, ლოხნა და ორივენი, დედა და შვილი, შ... ფილნი იდგნენ, სველი დრუნჩებით ერთმანეთს ეალერსებოდნენ. ხბოს ბღავილი კი ისევ ისმოდა.

— კოხტა ყოფილა! — წამოიძახა ჯანგირამ და თებროლიას ეზოსკენ გაიქცა.

კოხტა წინა ფეხებზე ჩაჩოქილიყო და სახარე საბელს მთელი ძალით ექაჩებოდა. ათიოდე ნაბიჯზე ძროხა წრიალებდა, ზმუოდა, შვილისკენ იწევდა, მაგრამ მაგრად იყო დაბმული და მიახლოებას ვერ ახერხებდა. ჯიშია ... ჯიქანი ტიკჭორასავით ედიდა, რძემოწოლილი ცურები დასკდომაზე ჰქონდა.

ჯანგირამ ხბო წამოაყენა და მიიხედ-მოიხედა.

— თებროლია ბებია! — დაიძახა ხმამაღლა.

— მოდი აქ, შვილო, მოდი! — მოესმა კარდახურულ ოთახიდან.

ჯანგირამ დერეფანში შეირბინა და კარი აჩქარებით შეაღო. შეაღო და რას ხედავს: თებროლია ცალ ფეხზე დგას შუა-ოთახში.

— შენ გაგახაროს ღმერთმა, როგორც ახლა მე გამახარე! — დალოცა თებროლიამ და მერე ნაღვლიანი ხმით სთხოვა: — გაცუნცულდი ეზოში, წუხელ ყორეზე ხელჯოხი დამრჩა მიყუდებული და მომიტანე.

ჯანგირამ დავალება თვალის დახამხამებაში შეასრულა. თებროლია დაებჯინა ხელჯოხს, ლოგინამდე ნელანელა მიკვანჭილდა და ჩამოჯდა. მერე ჯანგირას მიუბრუნდა: — შენ იძლიერე და იბედნიერე შვილო! რამდენი ხანია ვწვალობ და კარებამდე ვერ მივაღწიე, რომ ვინმესთვის დამეძახა. ფეხის განძრევა ერთი სიკვდილია ჩემთვის, ისე მტეხავს და მწიწკნის!..

ჯანგირა წარბშეკრული იდგა და მოხუც ქალს ჩვრებით შეხვეულ ფეხზე დასჩერებოდა.

— გაგეჭრა? — ჰკითხა გვიანგვიან.

— კი არ გამეჭრა, ქიშკარი დამეცა, შვილო!

ქიშკრის ხსენებაზე ბიჭი შეკრთა. და გაფითრდა.

— ქიშკარი ჩამოგდებული რომ ვნახე, გულს შემომეყარა. — წამოიწყო თებროლიამ. — ვიფიქრე ჩამოვკიდებ მეთქი, ავწიე, მაგრამ უეცრად ხელიდან გამივარდა და ფეხზე დამეცა.

— სისხლი გამოგივიდა? — ხმის კანკალით ჰკითხა ჯანგირამ.

— არა, შვილო! ისე კი ჯობდა სისხლი გამომსვლოდა... — უპასუხა თებროლიამ და მცირე ხნის შემდეგ ვა-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაგრძო: — რას ვიფიქრებდი, ასე თუ გამიმიზეზდებოდა. წუხელ დაწოლისას ტკივილი ისე მიმიყუჩდა, ფეხი აღარც მახსოვდა. მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ! შუაღამემ რომ მოატანა, დამიწყო ცერათითმა ტეხვა, მაგრამ რა დამიწყო!.. გათენებისას ტკივილმა ცოტა მიტია, მაგრამ რაი მერე, ფეხი მიწას ვეღარ დავაკარე, ოდნავაც რომ დავეყრდნო, მწიწკნის და მწიწკნის...

ჯანგირა ჩაცუცქდა, თებროლიას მტკივანი ფეხისკენ ხელი წაიღო, მაგრამ თითქოს ცეცხლმა დასწვაო, იმ წამსვე უკან გამოსწია.

— ძალიან გტკივა? — ენა შეებორკა ჯანგირას და თვალში ცრემლი მოადგა.

— ყრუდ მტეხავს, მიჩირქდება ალბათ.

ხბო ერთხანს გაჩერებული იდგა, მერე ისე შებღავლა, თითქოს აქამდე ძალას იკრებდაო. თებროლიამ მუხლზე ხელი დაირტყა:

—დავიღუპე და ეს არის!—მერე ჯანგირას გადახედა, ისევ რომ ჩაცუცქულიყო და შებუდნულ ფეხს ნაღვლიანად დაჰყურებდა.— შვილო, გაიქეცი, დედაშენს შემახვეწე, ხბო გადამერია გადმოდი და ძროხა მომიწველეთქო.

ჯანგირა წამოდგა და კარებში უხმოდ გავარდა. ოლღა ბოსტანში იყო, ხახვს ძირს უჩიჩქნიდა. ბიჭმა მიირბინა და თებროლიას დანაბარები სულმოუთქმელად მიაყარა.

— ამ კვალს ავათავებ და წავალ. — ისე ჩაილაპარაკა ოლღამ, შვილს არც შეხედა.

— რა დროს კვალია! — წაიბუზღუნა ჯანგირამ და ცრემლმორეული ხმით დაუმატა: — ახლავე წამოდიო!

— შენ შენს ძროხას მიხედე, აუშვი და წააბალახწამოაბალახე, თებროლიასთან როცა წავალ, მე ვიცი! — შემოუძახა ოლღამ.

— ხბო გადამერიაო... — გული ამოუჯდა ჯანგირას და თავი ვეღარ შეიკავა, ცრემლები წასკდა: — საჩქაროდ წამოვიდესო...

— რა იყო, ბიჭო, რავა თვალნაცემივით ხარ ამ დილას! — წელში გასწორდა ოლღა.

— აბა, რატომ არ მიდიხარ!.. — ტირილით გააბა ჯანგირამ, მერე შეტრიალდა და სახლისკენ ზლუქუნ-ზლუქუნით წავიდა.

ოლღამ ხახვს თავი მიანება, ბოსტნიდან გადმოვიდა და ხელებიც არ დაუბანია, თებროლიასკენ აჩქარებით გასწია. ჯანგირა კი შინ შევიდა და ლოგინზე დაემხო. ჰინჰრით რომ გეცემათ, ცრემლს მაინც ვერ გადმოაგდებინებდით, ახლა კი გულამომჯდარი სლუკუნებდა, ისე იყო გაბრაზებული, ასჯერ ღონიერსაც არ შეუშინდებოდა, ყელში ეცემოდა და თებროლია ბებიას გამწარებისთვის შავ დღეს დააყრიდა. მაგრამ ახლა რა უნდა ექნა?..

### V

ოლღამ ძროხა რომ გამოუწველა თებროლიას და შინ დაბრუნდა, ჯანგირა ისევ ლოგინზე იყო დამხობილი. ოღონდ უკვე აღარ სლუკუნებდა. ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, თავი დაბნეულად ასწია, ეგონა, დედა გამიწყრება, წამოწოლილს რომ მომისწროო. გაუწყრა კი არა, მხიარულად შესცინა, ლოგინზე ჩამოუჯდა და თავზე ხელი გადაუსვა:

— ჩემი კეთილი ბიჭი, უყვარს თებროლია ბებია და რა ქნას!

ჯანგირა წამოდგა და დარცხვენილივით თავი დახარა.

— შვილო! — განაგრძო ოლღამ, — აბა, ის არის ადამიანი, ვინც თებროლიას ჭიშკარი ჩამოაგდო? რამდენად ურჯული და უგულო უნდა იყო კაცი, ეს რომ ჩაიდინო! მოხუცს მაინც თავისი წელთა დაზიდულობა აწუხებდა და რაღა ფეხზე ჭიშკრის დაცემა ეჭირვებოდა: რომ დავინახე, სული გამიმწარდა პირდაპირ: ცერდაჩეჩქვილი ზის საცოდავად... რა ვიცოდი, ფეხი თუ სტკიოდა, თვარა ბოსტანში რა გამაჩერებდა!

— არ მოურჩება, დედა? — გულაჩუყებით ჰკითხა ჯანგირამ და თავი ასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაცა არ მოურჩება ნუ გეშინია, შვილო! აგერ ელპიტესთან ჩავალ, ამოვიყვან, საფენებს დაადებს, დაბეგვილისას შეულოცავს და ჩვენს თებროლიას სულ მალე ფეხზე წამოაყენებს. — გაუცინა ოლღამ შვილს.

— ელპიტემ რომ ვერ მოარჩინოს?

— მოარჩენს.

— ექიმი უფრო არ მოარჩენს?

— ექიმს ვინ სჯობს, შვილო, მაგრამ სად არის! — უპასუხა ოლღამ და ამოიოხრა: — ბედი უნდა ყველაფერს. თებროლიას რომ თავის ბიჭები შერჩენოდნენ, ექიმს კი არა, პროფესორს დააყენებდნენ თავზე!

— რამაზი რომ მაინც არ წასულიყო... — თავი გადაიქნია ჯანგირამ.

— უეცრად კი გაგვიძვრა ხელიდან და.. კაცისას რას გაიგებ, შვილო! — მიუგო ოლღამ და ზეზე წამოდგა. — თუმცა მისი გაქცევა ჩვენი თავმჯდომარის ბრალიც იყო, იმას გაუქრა ის გასიებული თავი!

— რატომ იყო თავმჯდომარის ბრალი, დედა? — წამოდგა ჯანგირაც.

— რა ვიცი, რამაზი კი აითვალწუნა და!

— რატომ აითვალწუნა? — აღარ ეშვებოდა ჯანგირა.

— რატომ და, ეშინოდა სკამი არ წამართვასო.

— სკამიო? — გაიღიმა ჯანგირამ, — ავიღოთ და ჩვენი სკამებიც მივცეთ, ოღონდ რამაზის მოუბრუნოს გული და თებროლია ბებია გაახაროს.

— ჩვენი სკამებიც მივცეთ? ჰი, ჰი, ჰი! ჯერ ისევ ბალღი ხარ, შვილო! — გულში ჩაიკრა ოლღამ და მერე დაყვავებით უთხრა: — თუ თებროლია ბებია გიყვარს, წადი ახლა და მისი ძროხა ჩვენს ძროხასთან ერთად წაიყვანე საბალახოდ.

ჯანგირა უხმოდ გავიდა გარეთ, პალოზე თოკი ახსნა და ძროხა ორღობეში გაუშვა, მერე კი თებროლია ბებიას ეზოსაკენ გაეშურა. მიდიოდა და ერთი ფიქრი არ ასვენებდა: დედამ რატომ მითხრა, ჯერ ისევ ბალღი ხარო?

გაგრძელება შემდეგ ნომერში



## ახალი წიგნები

# ქართული ენის თავგადასავალი

**შოთა ძიძიგური**

ენა ცოცხალი მუზეუმია — მასში დაცული „ენობრივი ექსპონატები" გვაცნობს საუკუნეთა სიღრმეში შემუშავებულ ტრადიციებსა და ეროვნული ფსიქოლოგიის დამახასიათებელ ნიშნებს.

ქართული ენა ჩვენი დიდი ეროვნული საგანძურია. გადაშენდა მრავალი ენა ძველი სამყაროსი, ან სულ დაკნინდა და თითქმის გაქრა. წინა აზიის ცხოვრების „ძველი მოწმე" ქართული ენა კი დღეს მსოფლიოს ცივილიზებულ ენათა რიგში დგას და უმაგალითო ღომავლობას ვანიცდის.

ქართულმა ენამ განვითარების გრძელი და რთული გზა განვლო. თხუთმეტსაუკუნოვანმა სალიტერატურო ენამ გაალრმავა თავისი შესაძლებლობანი და მკაცრად ჩამოაყალიბა თავისი სტრუქტურა, გააფართოვა ლექსიკა და ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ მას წარსულში დიდი დევნა და შევიწროება განუცდია. ქართულ ენას გადაშენებას უქადდნენ დიდი იმპერიების ენები, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში მომძლავრდებოდნენ ხოლმე სხვადასხვა დროს.

ახლახან გამომცემლობა „ნაკადულმა" ძვირფასი საჩუქარი უძღვნა მკითხველებს. გამოვიდა პროფესორ შოთა ძიძიგურის წიგნი „ქართული ენის თავგადასავალი". უნდა ითქვას, რომ ჩვენ დღემდე არ გვქონია ასე მოკლედ, ლაკონურად, ახალ მეცნიერულ აღმოჩენებზე დაყრდნობით შედგენილი, ფართო მასებისათვის განკუთვნილი პოპულარული წიგნი ქართული ენის შესახებ.

ხომ გაინტერესებთ, მაგალითად, როდის წარმოიშვა ქართული ენა; ხომ გიფიქრიათ იმაზე, თუ რა კავშირ-ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან — მეგრულს, სვანურსა და ქართულს. ხომ არაერთხელ შეგინიშნავთ, რომ ქართულს უხვად აქვს შეთვისებული უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები, მაგრამ ბევრმა თქვენგანმა ალბათ არ იცის, თუ რომელმა ენებმა განიცადეს ქართული ენის გავლენა; ანდა, ვინლა არ დაინტერესებულა იმით, თუ რატომაა, რომ დღეს, მსოფლიოში, ფართოდ გავრცელებულ, თუ ნაკლებად გავრცელებულ უთვალავ ენათა შორის, მხოლოდ თოთხმეტს აქვს თავისი საკუთარი დამწერლობა; ცხადია, ისიც გაინტერესებთ, თუ რატომ აქვს ქართულ ანბანს — ქართულ ასოებს ასეთი მოხაზულობა და რომელ ანბანს ენათესავება იგი.

ერთობ ძნელია ყველა იმ რთული და საინტერესო საკითხების ჩამოთვლა რომლებზეც ამ წიგნშია პასუხი გაცემული, ამიტომ გირჩევთ თავად წაიკითხოთ იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წვიმს, მაგრამ ბავშვებს გული მაინც ზღვისაკენ მიუწევთ.

აბა, ვინ მისწვდება!

# ბანაკი ზღვის პირას

წელს ნორჩ დამსვენებლებს ერთ-ერთმა პირველმა გაუღო კარი ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირების გუდაუთის რესპუბლიკურმა პიონერთა ბანაკმა.

ბანაკი შავი ზღვის სანაპიროზე, ხეებითა და ყვავილებით დაბურულ მაღლობზეა გაშენებული.

ლაჟვარდოვანი ცა, ნაზად მოლივლივე ტალღები, ცხრათვალა მზე, აქოჩრილი მთები...







ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათ ეს არე-მარე ვილაც გადამთიელ თურქ ვაჭარს ეკუთვნოდა თურმე, ახლა კი ეს ულამაზესი კუთხე პიონერთა მფლობელობაშია.



ნისლი ნელინელ აიკრიფა. აუყვა მთათა კალთებს. მთებმა შვებით ამოისუნთქეს და მხრები მზეს მიუშვირეს.

გაისმა საყვირის ხმა.

ბანაკი აიშალა, აგუგუნდა, ყვავილნარით დაფარულ ეზოს პიონერთა ჟივილ-ხივილი მოეფინა. ფიზკულტურის მასწავლებელმა რეზო ჰედიამ დილის ვარჯიშისათვის მოაწყო ბავშვები.

ივარჯიშეს, გამოფხიზლდნენ, გამოცოცხლდნენ და დაიწყო საბანაკო ცხოვრების პირველი დღე.

პიონერხელმძღვანელმა ნოდარ მღებრიშვილმა პიონერებს რეჟიმი გააცნო. ყველამ ზუსტად იცის, როდის რა უნდა გააკეთოს. მაგრამ თავი და თავი, აქ მაინც ზღვაა, პლაჟზე ყოფნა ურჩევნია ყველას. პირველ საათამდე გრძელდება გამაჯანსაღებელი ცურვა-თამაში ზღვაზე.

მერე ისევ გაისმის საყვირის ხმა.

პიონერებს სადილად უხმობენ.

ჯარასავით ტრიალებენ მზარეულები. ახმაურდა ჯამჭურჭელი. მორიგე პიონერებს შემოაქვთ გემრიელი ბორში, შებრაწული კატლეტები, ალისფერი პამიდორები, ტკბილეული, ხილი...

შუადღეა. ბანაკში სიმყუდროვე ისადგურებს. წყნარი საათია. თითქოს ბუნებაც ხელს უწყობსო ბავშვების ძილს, ზღვა წყნარია — მშვიდად ბუბუნებს.

მერე — ისევ ჟივილ-ხივილი, სპორტული მოედანი, ფრენბურთი, ხელბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. აქეთ ჭადრაკს თამაშობენ, იქით — შაშს. ზოგი მაგნოლიის ჩრდილში შეყუჟულა და წიგნს ჩაღრმავებია, ერთს ფუნჯი აუღია ხელში და ქაღალდზე გადააქვს ზღვის პეიზაჟი.

პიონერების ერთი ჯგუფი ფოტოგაზეთს ამზადებს.

ხვალ ლაშქრობაა. გუდაუთის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები უნდა მოიარონ, ლაშქრობისა-



ხვალ ახალი კედლის გაზეთი გამოვა.

ზურაბ კარტოზია და კარლო კუთათელაძე ხალისით ეხმარებიან მზარეულებს.

როცა ზღვა ღელავს, ვაჟა ორმოცაძე და ბაჩუკი ნატროშვილი დროს ჭადრაკის დაფასთან ატარებენ.

კარგი მადა იცის ზღვამ.



ნეტავ კეფალი მოჰყვეს ანკესს.



თამარ გამსახურდიას ბანაკშიც უნ-და კოპწიად და სუფთად გამოიუთ-რებოდეს.

კენჭობანა მეტად პოპულარული თამაშია ბანაკში.



რა სჯობს ზღვის ტალღებთან თამაშს.

თვის მარშრუტი უნდა შედგეს. ეს ლენა ჩემინავას აქვს დავალებული. ლაშქრობას სათანადო სამზადისი სჭირდება. პიონერებმა წინასწარ უნდა მოიმზადონ: ტანსაცმელი, ტურისტული აღჭურვილობა, ფეხსაცმელი მსუბუქი უნდა იყოს, თავზედაც გრილი რაჲ უნდა დაიხურონ.

მომავალ კვირას კედლის გაზეთში შთაბეჭდილებები გამოქვეყნდება. ვინც უფრო საინტერესოდ დაწერს, იმისთვის ჯილდოა დაწესებული, მაგრამ რა ჯილდოა ეს, ჯერ არავინ იცის.

საღამოთი ახალ კინოსურათს უჩვენებენ. ხვალ წყნარი საათის შემდეგ ფილმს გაარჩევენ. მომავალ კვირაში კი მეზობელ სანატორიუმში დასასვენებლად ჩამოსულ კინომსახიობებთან და შრომის გმირებთან არის შეხვედრა განზრახული.

●

...გაივლის ხანი და გაკაჟებულნი, ჯან-ღონით, სიცოცხლით სავსენი დაუბრუნდებიან მშობლიურ სკოლებს ბავშვები. მათ დიდხანს ეხსომებათ გუდაუთის პიონერთა ბანაკში გატარებული დღეები და იქ შეძენილი მეგობრები.

**ანზორ ჩიგოგიძე**

ფოტო ავტორისა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოციმციმე ნათურა

**იური იაკოვლევი** მხატვარი დ. პიაკინი

მოთხრობა

დიმკამ ჰაერი ხარბად შეისუნთქა და გაიქცა. თითქოს უცებ ტანწერწეტა არყის ხეები ბორბლებად გადაიქცნენ, დატრიალდნენ თანდათან გაიზარდნენ და ხმაურით აბრუნდნენ. დიმკას მოეჩვენა, რომ იგი ერთ ადგილზე იტკეპნებოდა, ხოლო თეთრი უზარმაზარი ბორბალი კი რაც შეიძლება სწრაფად მიგორავდა წინ.

დიმკას აწეწილი ქოჩორი შუბლზე ჩამოეშალა, ტუჩები გაუშრა. თეთრი ბორბალი ისე სწრაფად მისრიალებდა, რომ საცაა გზას გადაუჭრიდა. ბიჭს თვალები აუჭრელდა.

შეჯიბრი ჰქონდათ. ესტაფეტის მარშრუტით ტყის გადავლა იყო საჭირო, მინდვრის გადაჭრა და მდინარის გატოპვა. პიონერებს უნდა შემოერბინათ მთელი სოფელი და ბოლოს ბანაკში უნდა დაბრუნებულიყვნენ ისე, როგორც მაგელანი დაბრუნდა თავისი მოგზაურობიდან მშობლიურ ნავსადგურში.

დიმკას ეგონა, ოდნავადაც რომ შეენელებინა სირბილი, თეთრი ბორბალი უკან დასწევდა. ამით მეტოქე ისარგებლებდა და გაასწრებდა. ეს მეტოქე გოგოხა იყო. დიმკას სახეზე არ შეუხედავს, მხოლოდ დროდადრო მისი სუნთქვა ესმოდა.

უცებ ეს სუნთქვა შეწყდა. დიმკამ უკან მიიხედა. გოგონა მიწაზე გაშხლართულიყო. ხის ფესვისათვის წამოეკრა ფეხი. დიმკას გაუხარდა, უფრო უმატა სირბილს. როცა მეორედ მიიხედა, გოგონა ფიცხლად წამოხტა, ნატკენი მუხლი დაიზილა და ისევ ისე გამოიქცა. თუმცა სირბილი უჭირდა.

დიმკას დაავიწყდა, რომ გოგონა სხვა გუნდის წევრი იყო და ფეხი აითრია. გოგონა რომ გაუსწორდა, დაუყვირა:

— ნუ ჩქარობ, არ გაგასწრებ!

— არა, გამასწარი! — გაცხარდა გოგონა.

დიმკა სახტად დარჩა. არ გინდა, ნუ გინდაო, ძალა მოიკრიბა ნაბიჯის ასაჩქარებლად, მაგრამ უხილავი ძალა ბოჭავდა და ისევ გოგონას მხარდამხარ მირბოდა. მირბოდა, გოგონას ზედაც არ უყურებდა. საკვირველი ის იყო, რომ არყის ხეები თეთრ ბორბლებად ახლა იშვიათადღა თუ გაიქროლებდნენ, ნელა-ნელა ჩერდებოდა.

დიმკას თანდათან უფრო მოსწონდა მეტოქის ჯიქური ნათქვამი: „არა, გამასწარი!“

მოსახვევში ბიჭმა თვალი გააპარა მისკენ და სირბილი შეანელა.

გოგონამ დაუყვირა:

— არ გაბედო ჩამორჩენა! ერთი ნაბიჯითაც არ ჩამომრჩე, გესმის!

ფინიშამდე სულ ცოტაღა დარჩა. გოგონამ მოულოდნელად გადასძახა:

— მე ასია მქვია, შენ?

— დიმა.

ამ დროს მოესმათ:

— მიდი, მიდი!

ისინი უცებ ისევ მეტოქეებად გადაიქცნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაიქცნენ. ხმები არა წყდებოდა:

— ასია, აბა შენ იცი!

— დიმკა, მიდი, არ ჩამორჩე!

მაგრამ დიმკას რაღაც ძალა აკავებდა, ნებას არ აძლევდა ასიასათვის გაესწრო.

•

შუადღე იყო. ბანაკის განაპირა ბოძზე ელნათურა ციმციმებდა, დავიწყებოდათ ჩაქრობა. ოდნავ ბჟუტავდა, უცებ ვერც შეამჩნევდით, თუ ენთო. დიმკა ბოძთან იდგა. მუქის ჩაქრობა უნდოდა. მაგრამ როგორ? — ღილაკი მოეძებნა, თუ ბოძზე ასულიყო?

საიდანღაც ასიაც გაჩნდა.

ნათურა თითქოს ჩაქრა: დიმკას დაავიწყდა მისი არსებობა.

ასია ფეხშიშველა იყო, სატინის შარვალი და განიერი კოფთა ეცვა, მზე მოჰკიდებოდა, შოკოლადისფერი იყო, კბილები თეთრად უელავდა. დიმკას თვალში ასია შორეული კუნძულიდან ჩამოსულს ჰგავდა, შავტუხას, ქათქათა კბილებიანს.

ასია ჯერ უხმოდ იდგა, მერე დიმკას გაუწოდა მზით დამწვარი ხელი, აბა, გამოიცანი, მუჭაში რა მიდევსო! ასიას თვალები უციმციმებდა. გოგონამ გაშალა ხელი და დიმკამ დაინახა ოთხი ცალი მარწყვი, მარწყვს წვენი გასვლოდა.

დიმკამ თვალი ვერ მოაშორა ნაყოფს. ასიამ მხრები აიჩეჩა:

— აიღე, აიღე რა!

დიმკამ გაუბედავად აიღო ყველაზე პატარა.
— სულ შენი წილია!
— შუაზე გავიყოთ, — არ დაეთანხმა დიმკა, — ორი შენ, ორი მე.
დიმკას ეუხერხულა, მარტო თვითონ ეჭამა ახალშემოსული ხილი.
— არა, კიდევ აიღე.
ასიამ ამ სიტყვებით ნაბიჯი წინ გადადგა, დიმკას პირი გააღებინა და მარწყვი სულ შეაჭამა. ბიჭი შეიშმუშნა, ისე გადაყლაპა, გემო არც უგვრძნია.
— გემრიელია? — ჰკითხა გოგონამ.
— ძალიან, — უპასუხა დიმკამ და ტუჩები მოიწმინდა.
ასია ფიჭვებისაკენ გაიქცა. დიმკა დაედევნა. მირბოდნენ. ქვიშაზე წვრილი ლურსმნებივით ეყარა ფიჭვის წიწვები და ასია პაწაწა ნაფეხურებს ტოვებდა. დიმკა ამ ნაფეხურებს მიჰყვებოდა. ფრთხილად მირბოდა, რომ ასიას ნატერფალი არ წაეშალა. ქვიშა თითქოს ბამბასავით რბილი იყო და ასიას ნაფეხურებიც თბილი ეჩვენებოდა.
ასია ქვიშის ბორცვზე დაჯდა და სახე მზეს მიუფიცხა.
დიმკა მის წინ გაჩერდა, არ იცოდა რით დაეწყო საუბარი.
— დაჯექი, მზეზე ნუ მეფარები, — უთხრა ასიამ.
დიმკა შორიახლო ჩამოჯდა.
— რას გაჩუმებულხარ? თქვი რამე!
— ნათურა ჩავაქრო?
— რა საჭიროა. ენთოს რა. ვარსკვლავებიც ციმციმებენ დღისით, თუმცა ვერ ვამჩნევთ. — უპასუხა ასიამ, ისე, რომ ნათურისათვის თვალი არ მოუშორებია.
ასიას ფიქრები ნათურას უტრიალებდა. დიმკა კი სულ მარწყვზე ფიქრობდა...
დიმკას ჭირივით ეჯავრებოდა გოგოები. პატარაობისას სცემდა გოგონებს, ეშინოდა, თავად არ დამასწრონო. ვერ იტანდა იმათ დამცინავ შეხედვას და გესლიან ხუმრობას... ასია სხვებს არა ჰგავდა...
ამ დროს ვიღაცამ სულ ახლოს დაიძახა:
— სასიძო და საპატარძლო! სასიძო და საპატარძლო!
დიმკა გველნაკბენივით წამოვარდა ფეხზე. სიბრაზისაგან სისხლი მოაწვა სახეზე, ლოყები ისე წამოენთო, თითქოს ცეცხლი წაეკიდაო. უხერხულად იგრძნო თავი, ასიას თვალს ვეღარ უსწორებდა, თითქოსდა გოგონას წინაშე რაიმე დანაშაული მიუძღოდა. ასია წამოდგა და თვითონ მივიდა დიმკასთან. ისე მიამიტად შეხედა ბიჭს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.
— სახლში ერთი სურათი გვაქვს, — უთხრა ასიამ დიმკას, — დედას კოჭებამდე თეთრი კაბა აცვია, მამაჩემს შავი კოსტუმი, ღილები თავიდან ბოლომდე შეკრული აქვს. ორივენი სარგადაყლაპულივით დგანან, გაჭიმულები და ერთ წერტილს მისჩერებიან. მამა მაშინ სასიძო იყო, დედა საპატარძლო! რა სასაცილოა, არა?
ასიამ სცადა გონებაში წარმოედგინა შავ კოსტუმში გამოჭიმული დიმკა და თავისი თავი თეთრ კაბაში. უნდოდა გაეღიმა, მაგრამ ვერ მოახერხა.

●

ასია და დიმკა სხვადასხვა რაზმის პიონერები იყვნენ და ამიტომ იშვიათად უხდებოდათ ერთად ყოფნა. როცა ერთმანეთს ნახავდნენ, სალაპარაკო არ ელეოდათ, მსჯელობდნენ, თამაშობდნენ და ერთობოდნენ. მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ ისინი ცდილობდნენ მარტონი არ დარჩენილიყვნენ. თუ რამე ჰქონდათ სათქმელი, ბავშვების თანდასწრებით ლაპარაკობდნენ. სალაპარაკო კი ბევრი ჰქონდათ. აბა რა არის ამაში დასაძრახი? მაგრამ ბანაკში ამუშავდა „გაფუჭებული ტელეფონი“. ეს ისეთი თამაშია, სიმართლეს ჭორად რომ აქცევს ხოლმე. თვალით შეუმჩნეველი ტელეგრაფის ხაზი გადასცემდა ოთხ სიტყვას: „დიმკა სასიძოა, ასია საპატარძლო“.
როგორც კი ასიას და დიმკას ერთად დაინახავდნენ, ბავშვები მაშინვე დაიწყებდნენ დამცინავ ჩურჩულს. დიმკა ბრაზისაგან წითლდებოდა, ეს ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო. მეტიც არ უნდოდათ, გრძელი ენა რას არ მოხმახავს. ენაჭარტალა ხალხი თვალს ადევნებდა მათ ყოველ ნაბიჯს და როცა ერთად დაინახავდნენ, მაშინვე ატეხდნენ ყვირილს:
— სასიძო და საპატარძლო!
როგორ არ არწმუნებდა ასია თავის ამხანაგებს, ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ, რა არის ამაში ცუდიო, მაგრამ ვინ უჯერებდა?

●

ერთ საღამოს რაზმის ხელმძღვანელმა მაიამ სხვათაშორის ჰკითხა ასიას:
— რა ამბავში ხართ შენ და დიმა?
— ჩვენ მეგობრები ვართ, კარგი ამხანაგები!
მაიამ გამომცდელი თვალებით შეხედა გოგონას.
— ყველასთან უნდა იმეგობრო, ერთთან კი არა.
— თუკი ყველა არ მომწონს?
— კარგი მეგობრობაა ღმერთმანი! — აღშფოთება ვეღარ დაფარა ხელმძღვანელმა, — გამოდის იმასთან მეგობრობენ, ვინც მოსწონთ, არა?!
— დიახ! ადამიანი თუ არ მოგწონს, იმასთან რა დაგამეგობრებს?
გაკვირვებულმა ხელმძღვანელმა ვერაფერი უპასუხა.

●

ამ დროს პიონერხელმძღვანელი სერიოჟა და დიმკა ბანაკის ეზოში იყვნენ. სერიოჟა დევისოდენა კაცი იყო. ისეთი განიერი მხრები ჰქონდა, რომ არც ერთი ხალათი არა რგებდა, არც ერთი ხალათის საყელო არა სწვდებოდა, ამიტომ მას მაისურით სიარული უყვარდა. ფეხებიც, მოგეცათ ლხენა, დიდი ჰქონდა და ყოველთვის დაკვეთით აკერინებდა ფეხსაცმელს. მაგრამ მაინც ფეხშიშველა სიარული ერჩივნა, რომ მალე არ გაეცვითა შეკვეთით შეკერილი ფეხსაცმელი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბრგე და მოსული ჭაბუკი იყო სერიოჟა, ლაპარაკის დაწყება ამ თითისტოლა ბიჭთან მაინც ეძნელებოდა. კიდევ კარგი, რომ ბნელოდა და დიმკა ვერ დაინახავდა, როგორ წითლდებოდა იმისი ხელმძღვანელი.
— ყური მიგდე, რა გინდა იმ გოგოსაგან... აი, იმისაგან, აი, ასიასაგან?
— არაფერი. — მედიდურად უპასუხა დიმკამ. — გავებუტო თუ რა? ხმა აღარ გავცე?
— არა, გაბუტვა რა საჭიროა! — დაყვავებით წარმოთქვა ხელმძღვანელმა.
— მაშ რა?
— რას მეკითხები! რა ვიცი აბა, — ვერ მოითმინა სერიოჟამაც, — რომ ვიცოდე, ხომ გეტყოდი. გაბუტვა საჭირო არ არის.
სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ხელმძღვანელმა უნებლიეთ თმის წიწკნა დაიწყო. სიამოვნებით დაეხმარებოდა ბიჭს, მაგრამ თვითონაც ძალზე ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. უცებ შეეკითხა:
— იქნებ გიყვარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმკა ელდანაცემივით შედგა.

— არა, ჩვენ მეგობრები ვართ, ამხანაგები, — მიუგო დიმკამ და ზურგი შეაქცია.

ამის შემდეგ დიმკა განმარტოვდა. ყველას გაურბოდა, მგლის ლეკვივით აღრენილი იყო, ხუმრობას ყოველთვის ზიზღით ხვდებოდა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ბავშვები ბოროტად უყურებდნენ და მასხარად იგდებდნენ.

ასია კი პირიქით აინუნშიაც არ აგდებდა ჭორებს. დიმკას ეგონა ასიამაც იბრუნა პირი ჩემგანო, ლამის არის გადაიბირონო.

ბანაკში ფეხბურთს თამაშობდნენ. ბურთი ზევით შეაგდეს და თვითეული ცდილობდა ხელში ჩაგდებას. დიმკა ყველაზე ადრე გაჩნდა ბურთთან, წინ მიაქვს ბურთი, გეგონებათ უხილავი ძაფით ზედ აჰკვრია ტერფზეო, ერთი ნაბიჯითაც არ შორდება მობურთალს. არავის ძალუძს წართმევა. დიმკა კარს უახლოვდებოდა, ბურთიც დამჯერად მოგორავს წინ, სულ წინ. ერთბაშად ბიჭი წინ გაიჭრა ბურთიანად.

უცებ ვიღაცამ დაიძახა:



— სიძევ, შე ძველო, მომაწოდე ბურთი! მოიტა, სიძევ, მოიტა!..

დიმკა შეჩერდა. ამ სიტყვების მთქმელი, უშველებელბუცებიანი საშკა ლიმონოვი ათი ნაბიჯით იყო მისგან დაშორებული.

— სიძევ, — ყვირის საშ[illegible] — მაძლევ თუ არა ბურთს?

დიმკამ ბურთს თავი [illegible] და წამსვე საშკასთან გაჩნდა. საშკა ვერაფერს ვერ მიხვდა. დიმკამ მიწაზე წააქცია ბიჭი და ერთი გემოზე მიეჯა. არც მსაჯის სასტვენის ხმა ესმოდა და არც ბავშვების ყვირილი. დიმკა ბიჭს გამეტებით სცემდა თავისი და ასიას დამცირებისათვის. თითქოს მარტო საშკა ყოფილიყოს ამაში დამნაშავე.

ძლივს გააშველეს. დიმკას ვიღაცამ თავშიც კი წაუთაქა მაგრად, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყეს, ისე იყო გაბოროტებული.

საღამოს, ხაზზე შეკრებისას ჰკითხეს:

— რატომ სცემე ლიმონოვს?

დიმკა დუმდა.

— ენა ხომ არ ჩაგვარდნია?

დიმკამ ტუჩები მოიკვნიტა, გულს უკლავდა შეურაცხყოფა. მას ეგონა, რომ ყველა მის წინააღმდეგ არის ამხედრებული, ყველას მისი მასხრად აგდება უნდა.

ხელმძღვანელი მოუთმენლად შეეკითხა:

— შენ გეკითხებიან, გვიპასუხებ თუ არა?

უცებ გაისმა ასიას წკრიალა ხმა.

—მაგისი ბრალი არ არის, ლიმონოვმა აწყენინა!

— „მეტიჩარა... ნეტა ვინ ეკითხება, ვის რაში სჭირდება შენი გამოქომაგება, რა შენი საქმეა!“ — გაიფიქრა სირცხვილისაგან გაქვავებულმა დიმკამ და ენა ვერ მოაბრუნა.

— ერთი ამათ დამიხედეთ! ახალი ამბავი! — შეუტია უფროსმა პიონერხელმძღვანელმა, — ისეთი რა გაწყენინა, რომ საცემრად გაიმეტე.

დიმკას ენა ჩაუვარდა.

— სასიძო დაუძახა, ხელმძღვანელო, — დაიწრიპინა პატარა ბიჭმა.

„სასიძო“ — ტყვიასავით მოხვდა გულზე დიმკას. ბიჭი ანაზდად მოწყდა ადგილიდან და გაიქცა, საით მირბოდა თვითონაც არ იცოდა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყველა აქ მყოფი — სამასი კაცი უკან მისდევდა.

— დაბრუნდი! — დაუძახა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა, მაგრამ აღარავის შეეძლო ბიჭის შეჩერება.

ბანაკს რომ გასცდა, შედგა, სული მოითქვა. ის ნათურა, ჩაქრობა რომ უნდოდა, ისევ ენთო. ასსანთლიანი ნათურა იყო, მაგრამ დიმკას ეგონა შუქზე დამინახავენო, დაიხარა, აიღო ქვა და ესროლა. ასცდა, სადენებს მოხვდა და ნათურამ ყანყალი დაიწყო.

დიმკა ბოძს გაეცალა და რას ხედავს: ასია მოდის.

— აქ რა გინდა? — უნებურად შეეკითხა დიმკა.

— როგორ მოვიქცეთ? — ასიას ხმაში სიმტკიცე იგრძნობოდა.

— ეს შენი საქმე არ... — დიმკამ სიტყვა არ დაამთავრა, ენაზე იკბინა. ყველაფერს მიხვდა. ასია ყველას დასანახად დაედევნა დიმკას, ყურადღება არ მიაქცია დაცინვას, და შეეკითხა კიდეც, როგორ მოვიქცეთო. დიმკას შერცხვა. გოგონას სახე მოარიდა.

— ბანაკში აღარ დავბრუნდები, — უთხრა ასიას.

— არც მე, — უპასუხა გოგონამ.

— შენ დარჩი, შენ რაღა მოგარბენინებს?



— წავიდეთ, — მტკიცედ უთხრა ასიამ და გეზი ტყისაკენ აიღო.

ტყეში მიმავალი გზა ბნელსა და გრძელ დერეფანს ჰგავდა. ამ სიბნელეში სიარული ხუმრობა საქმე არ იყო. ფრთხილობდნენ, არაფერს დასჯახებოდნენ. ხანდახან ხის ტოტებს მიღმა ვარსკვლავები გაიელვებდნენ ხოლმე და ის შველოდათ.

— ყველაზე უფრო გველების მეშინია, — თქვა ასიამ.

— ფიქრი ნუ გაქვს, ღამე გველებს სძინავთ, — უპასუხა დიმკამ.

— რა უშიშარი ხარ!

დიმკა ასიას ნათქვამს რომ დასთანხმებოდა, კვეხნა გამოუვიდოდა, ამიტომ თავი მოისაწყლა:

— შენთან არ მეშინია, თორემ არც ისეთი გულადი ვარ, შენ რომ გგონია...

— მარტოკაც რომ იყო, დარწმუნებული ვარ, წარბსაც არ შეიხრი.

— რას ამბობ, ტყეში ვის არ შეეშინდება!

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

დიმკა და ასია ერთმანეთის გვერდით მიდიოდნენ.

სიჩუმე ასიამ დაარღვია:

— რომელ სკოლაში სწავლობ?

— სამოცდამეორეში. შენ?

— ორმოცდამეთორმეტეში.

— რა ახლოს ყოფილა ჩვენი სკოლები. ხუთი გაჩერებაა, თუმცა არა... მგონი ოთხი. კარგი დარბაზი გაქვთ?

— ცოტა ჭერია დაბალი... ფოქსტროტს გოგოები ბიჭებთან ცეკვავთ ხოლმე?

— მხოლოდ დღესასწაულებზე.

გზას დასასრული არ უჩანდა. ისინიც მიდიოდნენ და მიდიოდნენ. უცებ შესცივდათ. შილიფად ეცვათ. ტყეში უფრო ჩამობნელდა. ასია და დიმკა ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ.

— ნეტავი მალე გათენდებოდეს! — ინატრა დიმკამ.

— დილით რაღა ვქნათ?

— სადგურზე გავიდეთ და მატარებელს გავყვეთ... თუმცა იქნებ სჯობდეს შენ უკან დაბრუნდე? — ჰკითხა დიმკამ.

ასიამ სიტყვა ბანზე აუგდო.

— ასანთი ხომ არა გაქვს?

— არა!

— კარგი იქნებოდა, ცეცხლს დავანთებდით... მოდი ჩამოვსხდეთ, დავიღალე.

— კეთილი, — დაეთანხმა დიმკა და ხელების ფათურით მშრალ ადგილს დაუწყო ძებნა. სიბნელემ და სიცივემ სულ გადაავიწყათ ბანაკში მომხდარი ამბავი. ახლა მთავარი იყო, როგორმე მოეკლათ დრო და ეს ღამე მშვიდობით გაეთენებინათ.

— დიმკა, მოდი ზურგიზურგ დავსხდეთ და აღარ შეგვცივა.

მართლაც გათბნენ. ისხდნენ დიმკა და ასია წყნარად, განაბულები, კრინტის დაძვრისა ეშინოდათ.

ჩაეძინათ.

სიცივემ მაინც თავისი გაიტანა, მალე გამოეღვიძათ. გაკვირვებისაგან თვალები დააჭყიტეს, ერთბაშად ვერც მოისაზრეს, სად იყვნენ, ან აქ საიდან გაჩნდნენ. სიცივისაგან აბურძგნულები ადგილიდან ვერ იძროდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ იზელდნენ მხრებს. როდის-როდის ძლივს წამოდგნენ. ასია მთლად კანკალებდა, კბილს კბილზე აცემინებდა. დიმკა ხელებს იორთქლებდა, როგორც ყინვაში იციან ხოლმე.

— კარგად გამოიძინე?

დიმკამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— პირი დავიბანოთ, იცი როგორ? აბა მიყურე. — უთხრა ასიამ ბიჭს და ჩაცუცქდა. ნამიან ბალახებზე ხელის გულები დაისველა, მერე სახეზე მოისვა ერთხელ, ორჯერ... თვალები გაახილა და უცბათ, დიმკას შეშფოთებულ სახეს შეასწრო თვალი და ხელები მოცელილივით ძირს დაუშვა. დიმკა ყურებდაყურსული გასცქეროდა განაკაფს. ასია წამოხტა, ნეტავ რა მოხდაო და იმანაც იქით გაიხედა. მათკენ კაცი მორბოდა. წამსვე იცნეს ხელმძღვანელი სერიოჟა.

ასიამ და დიმკამ მოკურცხლეს. მაგრამ ახლა არყის ხის ფეთრი ბორბლები კი არ ელობებოდათ წინ, თითქოს მთელი დედამიწა ეცლებოდათ ფეხქვეშ. სირცხვილსა და შეურაცხყოფას გაურბოდნენ ბავშვები, ისინი მირბოდნენ რაღაც უხილავის, უზომოდ ძვირფასის გადასარჩენად. მაგრამ სერიოჟას გოლიათურ ნაბიჯებს სად გაექცეოდნენ!

— შესდექით!

ბავშვებს ქანცი გამოელიათ. სერიოჟა თვალისდახამხამებისუმალ მათთან გაჩნდა. სამივენი მძიმედ სუნთქავდნენ, ხმის ამოღება დიდხანს ვერ შესძლეს. ასიამ და დიმკამ ძლივს იცნეს ხელმძღვანელი: თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა, თმა აბურძგვნილი ჰქონდა, სეთრი მაისური მთლად შემოხეოდა.

— რამდენი ხანია დაგეძებთ, მოვკვდი კაცი. თქვენი გულისათვის გინდათ რომ თავი წამაცალონ? — თქვა მან. შემდეგ გულდაწყვეტილმა წაიბუზღუნა: — არ უნდა წამოვსულიყავი ბანაკში სამუშაოდ! როცა საქმე ასეთ ხალხთან გექნება... წამოდით! — მკაცრად მიმართა მან.

დიმკა და ასია ადგილიდან არ იძროდნენ.

— წავიდეთ! — გაუმეორა სერიოჟამ, — რაღას დგეხართ?

— არ წამოვალთ, — თქვა ასიამ და დიმკას შეხედა.

დიმკა უხმოდ იდგა და ზიზღით უყურებდა სერიოჟას.

ხელმძღვანელმა გაქცეულებს ხელი სტაცა, მაშინვე იგრძნეს სერიოჟას ძალა, აღარც ცდილან განთავისუფლებას, რცხვენოდათ ხელიდან დასხლტომოდნენ. დიმკამ ჩაილაპარაკა:

— სულ ერთია, მაინც გავიპარები.

— მეც, — კვერი დაუკრა ასიამ.

უხმოდ მიდიოდნენ. აერიათ დროის სათვალავი. ისე მიდიოდნენ, თითქოს რაღაც საკვირველი ძალისა და უჩვეულო წესების ტყვეები ყოფილიყვნენ.

სერიოჟა შედგა, ბავშვებს ხელი გაუშვა და ჰკითხა:

— ფული გაქვთ?

პასუხი ვერ გასცეს, იმდენად უცნაური იყო ეს შეკითხვა. მაშინ ხელმძღვანელმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ქაღალდის ფული ამოიღო და დიმკას გაუწოდა:

— აჰა, დაიჭი! აქედან სადგურამდე ხუთი კილომეტრია. გზაჯვარედინთან რომ მიხვალთ, მარჯვნივ გადაუხვიეთ, გესმით?

უკან არც მოუხედავს, ისე მიატოვა ბავშვები და ბანაკისაკენ გაემართა.

ასია და დიმკა დიდხანს უცქეროდნენ მიმავალ ხელმძღვანელს. ჯერაც ვერ გამორკვეულიყვნენ, რა ხდებოდა მათს თავს. კაცი, რომელიც საკუთარი თავით აგებდა პასუხს მათი გულისათვის, ამდენს დაეძებდა მათ ტყესა და ღრეში, ძლივს იპოვნა და ახლა ფულს სთავაზობს, ბილეთი აიღეთ და შინ წადითო.



მოულოდნელად უჩვეულო გრძნობა დაეუფლათ, უნდოდათ ხელმძღვანელს დასდევნებოდნენ და ხელი ჩამოერთვათ, მადლობა გადაეხადათ, მიბრუნებულიყვნენ ბანაკში, — როცა გვერდით ასეთი ადამიანი გყავს, ყველაფერს დასძლევ და აიტან.

ქვიშაზე გამოკვეთილიყო ხელმძღვანელის დიდი, ღრმა ნაფეხურები. დიმკას და ასიას სწორედ ამ ნაფეხურებით მოუნდათ უკან გაბრუნება.

წინ ასია მიდის, უკან დიმკა მიჰყვება. ორივენი გრძნობენ იმ სითბოს, რომელიც ამ ბრგე ჭაბუკის ნაკვალევს შემოუნახავს.

თარგმნა მარიამ კვაჭაძემ.

დედა — ისევ გიჩიოდა დღეს მასწავლებელი?
ჰანსი — არა, დღეს სულ არ ვყოფილვარ სკოლაში!

●

— მოვედით! გთხოვთ გადაიხადოთ 12 მარკა! — უთხრა მძღოლმა მგზავრს.
— თუ შეიძლება, ცოტა უკან გავბრუნდეთ, მე მხოლოდ 10 მარკა მაქვს.

●

— რატომ გარბის ეს ხალხი ასე? — იკითხა ერთმა სპორტულ ზეიმზე.
— პირველი, — პრიზს მიიღებს! — უპასუხა მეორემ.
— თუკი ასეა, დანარჩენებს რაღა მიარბენინებთ?

●

ერთმა ქალმა პატარა გოგონას ვაშლი მისცა.
— რა უნდა უთხრა? — ჰკითხა დედამ.
გოგონა დაფიქრდა და უპასუხა: — ერთიც მომეცით!

●

რომელ ცხოველს აქვს ოთხი ფეხი ? — ეკითხება დედა ხუთი წლის ჰანსს.
— კატას, ძაღლს, ძროხას, ცხენს...
— კიდევ?
— ორ ქათამს.

●

— ხომ კარგი მასწავლებელი გყავს? — ჰკითხა დედამ პეტერს.
— კარგი კი არა, ჯერ თქვა: 3 და 3 ექვსიაო, მერე — 2 და 4 ექვსიაო...

●

დედა — შვილო, შენმა მასწავლებელმა მითხრა, ელზა უკანასკნელი მოსწავლეაო.
ელზა — ეს იმიტომ, რომ კურტი არ დადის სკოლაში.

●

მასწავლებელი — შენ სამი შეცდომა გაქვს საშინაო დავალებაში, ერიხს — არცერთი.
მოსწავლე — დიახ, ბატონო მასწავლებელო, ერიხის მამა წუხელ შინ დარჩა, მამაჩემი კი, კინოში წავიდა.

გერმანულიდან თარგმნა
ციური აბდუშელიშვილმა.



# ელექტრომობილი

ანდრე კარბელაშვილი.

მხატვარი
დიმიტრი ხარაფიშვილი

ცნობილია, რომ ავტომობილის ასამოძრავებლად ყველაზე უფრო მოხერხებულია ბენზინის ძრავა.

მაგრამ, თუ დავუფიქრდებით, უსათუოდ შევნიშნავთ მის ნაკლს, რაც ასე საგრძნობია ახლა, როცა დიდ ქალაქებში ათიათასობით ავტომობილი დაჭქრის ქუჩებსა და პროსპექტებზე.

ეს ნაკლი ის გახლავთ, რომ ბენზინის ძრავის მიერ გამოყოფილი გაზები წამლავს ადამიანს, და მარტო ადამიანს, კი არა, მცენარეებსაც საკმაო ზიანს აყენებს.

ინჟინრები და გამომგონებლები გულხელდაკრეფილნი როდი შესცქერიან ამას. სხვადასხვა ხერხებით მათ უკვე მიაღწიეს ბენზინის ძრავის მიერ გამოყოფილი მავნე ნითვიერებების ნაწილობრივ მოსპობას, მაგრამ მთლიანად ჰაერის გასუფთავებას ვერაფერი მოუხერხეს.

ამას ისიც ემატება, რომ დიდ ქალაქებში ავტომობილების უსიამოვნო ხმაური უარყოფითად მოქმედებს მცხოვრებლებზე.

ჯერ კიდევ 1896 წელს, საფრანგეთში, პარიზსა და ბორდოს შორის გამართული მექანიკური ეკიპაჟების შეჯიბრების მონაწილენი და მრავალრიცხოვანი მაყურებელი დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ერთ მანქანას, რომლის კონსტრუქტორი ჟანტო იყო.

ჟანტომ პარიზიდან ბორდომდე 20 ადგილას გაანაწილა დამუხტული აკუმულატორები, რომელთა გადასატანად მას რკინიგზის 6 ვაგონის დაქირავება დასჭირდა.

გზის ერთ მონაკვეთს რომ გაივლიდა, ჟანტო განმუხტულ აკუმულატორს მანქანიდან ხსნიდა და ახალს ამაგრებდა. ასე რომ, პარიზიდან ბორდომდე მან 20-ჯერ გამოუცვალა თავის ელექტრომობილს დენის წყარო.

XX საუკუნის დასაწყისში კონსტრუქტორები უკვე საკმაოდ იყვნენ დაინტერესებულნი ელექტრომობილების დამზადებით, მაგრამ, აკუმულატორთან შედარებით, ბენზინის ძრავა უფრო სწრაფად უმჯობესდებოდა. ამიტომ მოხდა, რომ ელექტრომობილები თანდათან დავიწყებას მიეცა და მხოლოდ ახლა, უკანასკნელ წლებში მიექცა მათ განსაკუთრებული ყურადღება.

დღეს მრავალი ქვეყნის ნიჭიერი ინჟინრები და კონსტრუქტორები თავგამოდებით მუშაობენ მოხერხებული და ხელსაყრელი ელექტრომობილის შესაქმნელად. ინგლისში ელექტრომობილების რიცხვმა 30 ათასს გადააჭარბა. მთელი დედამიწის ზურგზე კი ამჟამად 40 ათასი ელექტრომობილი დასრიალებს.

რა არის ელექტრომობილი? ეს არის მანქანა, რომელიც ძლიერ წააგავს ჩვეულებრივ ავტომობილს, მაგრამ მოძრაობისათვის საჭირო ენერგიას ბენზინის ძრავისაგან კი არ იღებს, არამედ აკუმულატორიდან — დენის წყაროდან. ელექტრომობილის ბორბლებს ამოძრავებს ელექტროძრავა, ხოლო ეს უკანასკნელი აკუმულატორებიდან მიღებული მუდმივი დენით ბრუნავს.

ალბათ ბევრ თქვენგანს უნახავს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივ ავტომობილზე მოწყობილი აკუმულატორი, მაგრამ აქ ის მხოლოდ ბენზინის ძრავის ასამუშავებლად არის საჭირო და დამხმარე მოვალეობას ასრულებს. მაგრამ აკუმულატორმა რომ მოძრაობაში მოიყვანოს თვით ავტომობილი, იოლი საქმე არ არის. სწორედ ეს უშლის ხელს ელექტრომობილების მასიურ დამზადებას.

ბენზინის ძრავის თვითეული კილოგრამის ენერგოტევადობა 2400 ვატსაათია, მაშინ როცა ჩვეულებრივი ტყვიის აკუმულატორის ელექტროტევადობა მხოლოდ 16-20 ვატსაათს უდრის. მაგრამ ამ ბოლო ხანებში შექმნილი აკუმულატორების ელექტროტევადობამ 500 ვატსაათს მიაღწია აკუმულატორის თვითეულ კილოგრამზე. მაგრამ ეს მაინც 5—10-ჯერ ნაკლებია ჩვეულებრივი ბენზინის ძრავის ელექტროტევადობაზე. ამრიგად, ბენზინის ძრავას ჯერ კიდევ დიდი უპირატესობა აქვს აკუმულატორთან შედარებით.

ელექტრომობილის ბედ-იღბალი, მისი მომავალი აკუმულატორების გაუმჯობესებაზე არის დამოკიდებული. რაც შეიძლება მეტი ელექტროენერგია უნდა დაგროვდეს აკუმულატორში, რომ მერე დიდი ხნის განმავლობაში მიაწოდოს დენი ელექტროძრავას, ესე იგი, აკუმულატორის ტევადობა სულ უფრო უნდა გაიზარდოს.

ამას წინათ ამერიკაში ორი მარკის ელექტრომობილი შეიქმნა. ფირმა „ჯენერალს მოტორსმა“ დაამზადა ელექტრომობილი „ელექტროკეირი“, რომელიც საათში 130 კილომეტრს ავითარებს და მხოლოდ 60 კილომეტრს გადის აკუმულატორის დაუმუხტავად. მეორე ელექტრომობილი, რომელიც ავოტმობილ „რენო დოფინის“ ბაზაზე დამზადდა, საათში მხოლოდ 40 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობს. სამაგიეროდ, მას დენის წყაროს დაუმუხტავად 130 კილომეტრის გავლა შეუძლია.

მაგრამ გამომგონებლებს ეს სულაც არ აკმაყოფილებთ. ამ ცოტა ხნის წინათ თავისებური რეკორდი დაამყარა ელექტრომობილმა, რომელსაც „ამიტრონი“ უწოდეს. ამ მანქანას ორი აკუმულატორი უყენია და ხელახლა დაუმუხტავად 240 კილომეტრს გადის, ამასთან საათში 80 კილომეტრის სისწრაფით მიჰქრის.

სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებულ ელექტრომობილებს სხვადასხვა მონაცემები აქვთ, — ზოგი დიდ სიჩქარეს ავითარებს, სამაგიეროდ, მცირე მანძილს გადის, ზოგი კი — პირიქით. საქმე ის გახლავთ, რომ ელექტრომობილის პირველი სერიოზული ექსპერიმენტები ტარდება.

კონსტრუქტორების ფიქრით, უახლოეს დროში კიდევ უფრო გაიზრდება აკუმულატორების ელექტროტევადობა და ელექტრომობილების გარბენის საშუალო სიგრძე 300—320 კილომეტრს მიაღწევს. რასაკვირველია, მაშინ გზების პირას, ბენზინის ჩასასხმელი პუნქტების ნაცვლად საააკუმულატორო პუნქტები მოეწყობა, სადაც მძღოლი განმუხტულ ბატარეას რამდენიმე წუთში შესცვლის ახლით.

ელექტრომობილების შესაქმნელად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაშიც. განსაკუთრებით ეს ითქმის მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტის ელექტროტექნიკისა და ელექტრომოწყობილობის ლაბორატორიაზე. ტარდება ექსპერიმენტები, რომლის მიზანია მოინახოს ელექტრომობილისთვის ყველაზე უფრო სრულყოფილი ენერგიის წყაროები.

მოსკოვის ქუჩებში გამოჩნდა მიკროავტობუსი „რაფი“, რომელიც არც ჰაერს აჭუჭყიანებს და არც ხმაურს გამოსცემს. „რაფი“ საათში 6 კმ სისწრაფეს ავითარებს, რაც სავსებით საკმარისია ფოსტის მომსახურებისთვის, ანდა ბაზებიდან და საწყობებიდან მაღაზიებში პროდუქტების მისატანად...

ელექტრომობილი, ჩვეულებრივი ავტომობილისაგან განსხვავებით, სამართავად გაცილებით მარტივია, დაახლოებით ისევე, როგორც ტროლეიბუსის მართვა უფრო იოლია, ვიდრე ავტობუსისა. ვინც დაკვირვებია, შეამჩნევდა, რომ ტროლეიბუსის მძღოლს, საჭის გარდა, მხოლოდ ორი ძირითადი სამართავი აქვს — სამუხრუჭე სატერფული და სიჩქარის სატერფული. რაც უფრო სწრაფად უნდა წაიყვანოს ტროლეიბუსი, მძღოლი მით უფრო ძლიერ აწვება სატერფულს, გინდ ვაკე გზა იყოს, გინდაც აღმართი. ავტობუსის მძღოლს კი სიჩქარეების გამოცვლა იმის მიხედვით უხდება, თუ რანაირ რელიეფზე მიდის ავტობუსი და რა სისწრაფით. ავტობუსის მართვა განსაკუთრებით რთულია ქალაქის პირობებში, სადაც წამდაუწუმ უნდა გამოცვალო სიჩქარეები.

ელექტრომობილის სისწრაფის მოსამატებლად ან შესანელებლად კი მხოლოდ სატერფულზე ფეხის დაწოლა არის საჭირო და ორივე ხელი სრულიად თავისუფალია საჭის სამართავად.

არც თუ შორეული მომავლის ამბავია ის, რომ თბილისის ქუჩებშიც გამოჩნდება ლამაზი, სწრაფი, უხმაურო ელექტრომობილები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## აფრიკის შუაგულში

აფრიკის შუაგულში, ვიქტორიის ტბაში, არის ერთი კუნძული, რომელიც აქამდე დაუსახლებელი ეგონათ. ამას წინათ კუნძულზე გადასხდა ინგლისელ ზოოლოგთა ექსპედიცია, რომელმაც იქ მაიმუნები — ბაბუინები აღმოაჩინა. კუნძულის მაიმუნები განსხვავდებიან ტბის ნაპირებზე მცხოვრები მაიმუნებისაგან. საინტერესოა, როგორ მოხვდნენ ისინი კუნძულზე?

## ოკეანის ნაჭერი

ოკეანის ნაჭერი აღმოჩნდა... ნორვეგიის ერთ-ერთი ტბის, ტოკეს ფსკერზე. ეს მტკნარი ტბა ოსლოდან ორას კილომეტრზე მდებარეობს. ამ ტბაში, 130 მეტრის სიღრმეზე, მოულოდნელად აღმოაჩინეს ოკეანის მლაშე წყლის დიდი ფენა. მასში სიცოცხლის არავითარი კვალი არ აღმოჩნდა.

## ზოგი ჭირი მარგებელიაო

ბრაზილიელ შიკო მენენდესს ხიფათი სულთან დასდევდა. ჯერ იყო და, მისი სასაუზმე დაიწვა სან-პაულუში. შემდეგ, როცა შიკომ მეზღვაურად დაიწყო მუშაობა, გემი ჩაიძირა. ტალღებმა მენენდესი უკაცრიელ კუნძულზე გარიყა, სადაც ხუთი თვე დაჰყო. მხოლოდ ველური მცენარეების ფესვებითა და კიბორჩხალებით იკვებებოდა. ღამე სულ უხვი სუფრა და წვეულებები ესიზმრებოდა. გაფიცხებული ფანტაზია ახალ, უშესანიშნავეს კერძებს აგონებდა. დილით შიკო მათ რეცეპტებს ხომალდიდან გადარჩენილი ყუთის ფიცარზე წერდა ფანქრის ნატეხით. ხუთი თვის ბოლოს, როცა იგი გემზე აიყვანეს, ყუთის ფიცრები წარწერებით იყო გავსებული.

შინ დაბრუნებულმა შიკომ რეცეპტების მთელი წიგნი შეადგინა, რომელიც დიდხანს ითვლებოდა სამზარეულო წიგნად, ხოლო ავტორმა მასში აღებული ფულით რესტორანი გახსნა, რომელსაც „რობინზონ კრუზო მენენდესი" დაარქვა.

## კაცობრიობის გაჩენის დროიდან...

რამდენი კაცი დაიბადა ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის გაჩენის დროიდან? ამ მეტად ძნელ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადნენ ამერიკელი დემოგრაფები რ. ვილეიმეიერი და ფ. ლორიმერი. მათი აზრით, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის დედამიწის ყველა კონტინენტზე 200-300 მილიონი კაცი ცხოვრობდა. თექვსმეტსაუკუნენახევრის შემდეგ ადამიანთა რიცხვმა 500 მილიონს მიაღწია. კიდევ ორასი წლის შემდეგ დედამიწის მოსახლეობამ ერთ მილიარდს გადააჭარბა.

ამჟამად დედამიწაზე სამი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, ესე იგი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ნამატმა ორი მილიარდი შეადგინა. მეცნიერთა გამოანგარიშებით, კაცობრიობის 600 000-წლიანი ისტორიის მანძილზე (თუ პითეკანტროპების არსებობის დროიდან ვიანგარიშებთ) დედამიწაზე დაახლოებით 77 მილიარდი ადამიანი დაიბადა.

## წყალი, წყალი, წყალი...

ადამიანის სხეულის 65 პროცენტი წყალია. საკმარისია ადამიანმა 10-20 პროცენტი წყალი დაკარგოს, რომ დაიღუპოს.

ზომიერი ჰავის ქვეყნებში მცხოვრები თვითეული ადამიანი (მათ შორის ჩვენც) ყოველწლიურად ერთ ტონამდე წყალს სვამს.

ადამიანის წლიური საკვების მისაღებად 600 ტონა მაცოცხლებელი ტენი იხარჯება. გარდა ამისა, თითო კაცისთვის კიდევ 800 ტონა წყალია საჭირო (იგულისხმება საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა).

ზღვის წყლის წილად მოდის წყლის მსოფლიო მარაგის 97 პროცენტი, დანარჩენი 3 პროცენტიდან 2 პროცენტი მყინვარები და პოლარული „ქუდებია".

ასე რომ, თუ ჩვენს პლანეტას კოსმოსიდან დავხედავთ, უფრო სამართლიანი იქნება მას დედამიწა კი არ ვუწოდოთ, არამედ — წყალი ან ოკეანე.

## ყველაზე დიდი ცხოველი

დედამიწაზე არასოდეს უცხოვრია ლურჯ ვეშაპზე უფრო დიდ ცხოველს. ცხოველთა სამყაროს ეს გოლიათი 150 ტონას იწონის. თუ წარმოვიდგენთ, რომ იგი კუდზე დადგება, მისი თავი მეათე სართულის სიმაღლეზე აღმოჩნდება. ამ ვეშაპის ხახაში თავისუფლად მოთავსდება ნავი მენიჩბეებითურთ; ენა სამტონიანი მანქანის ძარას ფარავს, გული საშუალო ცხენისოდენას იწონის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სინდაურისძის მაღალი

ბალადა

გიორგი გიგაური

1.

ბლოღელის ახლოს ჭიუხი
ცისკენ აწვდილა ლაღად,
ღუნავს ყინულის სიუხვე
სინდაურისძის მაღალს.*
კაცივით ნაქანდაკარი
კლდე ღრუბლებს სწვდება ხელით,
სინდაურისძის მაღალი
უშიშარ ვაჟკაცს ელის...
და ელავს ფერად-ფერადად
სინდაურისძის საქმე,
ხევსური ქარაფს თელავდა
ჰხდიდა ყინულის სარქველს.
ჯიხვებს ხოცავდა ადვილად,
ყადრი იცოდა ისრის,
ისრით დაჭრილი ნადირი
ქვიშას ღებავდა სისხლით.
მაინც ვერ მოკლა ვაჟკაცმა
კლდეთა დაძლევის ჟინი,
უხმობდა ზეცა კაშკაშა,
ცაზე მნათობი წყვილი...
და ერთხელ გულით ინება
ასვლა მწვერვალის თავზე.
ვერ დაუშალა ვერავინ
დიდი იმედით სავსეს.
კაცივით ნაქანდაკარი
ქიმი უწვდიდა ხელებს,
ღმუოდა თოვლის ნამქერი,
ძირს კანკალებდა ღელე.
ღამე და სინდაურისძე
ერთად ეწვივნენ მწვერვალს,
იქ არ ჰყვაოდა პირიმზე,
იყო ღრუბლების ღელვა.
იქ ყინვა ლურჯი თითებით
შუაზე ხლეჩდა ლოდებს,
დაფარფატებდნენ ფიფქები,
ავი ქარები ჰქროდნენ.
ცამ გადამალა მთიები
ამაყი კაცის შიშით,
მიიღო მკაცრი იერი,
ენა ჩაიდგა პირში,—
აკივლდა, აკაშკაშა
შავი ღრუბლების ჯარი,
მაინც არ შედრკა ვაჟკაცი,
მწვერვალის ქიმზე მდგარი.
მაინც ებრძოდა ქარიშხალს,
ლეწდა ყინულის ფიცარს,
ყურს ჩაესმოდა ქალის ხმა:
— რაად დამღუპე, ბიჭავ!
თვალს სჭრიდა ელვის კაშკაში,
შანთავდა დელგმა მკაცრი...
ლურჯი ყინულის აკვანში
ყინულად იქცა კაცი...

2.

სინდაურისძის ხიბლავს გმირობა
ყრმას და...
გაჰყურებს მწვერვალს ელვიანს,
«სხვები ცდილობდნენ,
მამაც ცდილობდა,
ახლა კი, მგონი, ჩემი ჯერია.»
განზრახვას გულში უკვე არ მალავს,
ეჭვს ყმაწვილური სილაღით ალღობს.
— მწვერვალზე უნდა ავიდე, მამა.
— ნუ იტყვი, რასაც ვერ იზამ, ბალღო!

3.

აღარ ასვენებს ჯოყოლას
შეუცნობელი ძალა,
ფიქრის გორგალი მოგორავს
და ებლანდება ქარაფს.
ქარაფს მიელტვის ჭაბუკი,
კლდეზე მიცოცავს უხმოდ.
როგორ შეაკრთობს ქარბუქი,
როცა მწვერვალი უხმობს;
როცა წინაპრის სახელი
მუხლებში ჰმატებს ღონეს,
აქეზებს დაუძრახველი
ხევსურთა ციხის ყორე...
მამაცს გზა უადვილდება,
თავზე მოექცა „მაღალს“;
კლდენი ჭაბუკის დიდებას
გაჰყიჟინებენ ლაღად.
გზას ულოცავენ ჯიხვები,
არ აცილებენ მზერას,
ჩანჩქერი ვერცხლად იღვრება,
ვიწრო ბილიკებს ზვერავს.
ბილიკით სწრაფად ბრუნდება
მამაცი არაგველი
და არწივების ბუდესთან
გამარჯვებაზე მღერის.
დილაა თბილი, მზიანი,
სხივი ყინულზე კვესავს,
ისმის წრიაპის წკრიალი
და ქარაფების კვნესა...

4.

ჭერხოს კარებთან ხევსური ოხრავს,
შორს კი ჭიუხი მოჩანს ავბედად,
„ვიცი, სახლ-კარი დამრჩება ოხრად,
თუ ბიჭმა ასვლა მართლა გაბედა“.
დედა და დები ქვებივით დგანან
და მიყრდნობიან ყორეს თავებით...
მოვიდა,
ამბობს:
— ავედი, მამა,
მწვერვალის ქიმზე უკვე ავედი!

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.



* სინდაურისძის მაღალი ხევსურეთის ერთ-ერთი მწვერვალის სახელია.

# ცალთვალა უბედურება

რუსული ხალხური ზღაპარი

იყო ერთი მჭედელი, ცხოვრობდა არხეინად, უბედურება რა იყო, არ იცოდა.

— ნეტა რა უნდა იყოს ეს უბედურება? ჩემს სიცოცხლეში თვალით არ მინახავს, ერთი მენახა მაინც როგორია — თქვა მჭედელმა, ადგა და უბედურების საძებნელად წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ უღრან ტყეში ამოყო თავი. დაბნელდა, ღამის გასათევი კი ვერსად იშოვნა, თანაც მოშივდა. ხედავს, იქვე ახლოს რაღაც დიდი ქოხია. დააკაკუნა — ხმა არავინ გასცა, შეაღო კარი, შევიდა — შიგ არავინ დახვდა. რას იზამდა? აძვრა მჭედელი ღუმელზე და გადაწყვიტა მშიერი დავიძინებო.

ის-ის იყო უნდა დაეძინა, რომ კარი გაიღო და ქოხი ცხვრის ფარით აივსო. ფარას ერთი ვეება, საზარელი, ცალთვალა დედაკაცი — უბედურება შემოჰყვა, უზარმაზარი, საშინელი. დაყნოსა უბედურებამ იქაურობა და თქვა:

— სულიერის სუნი მცემს, ახლა კი ვახშამი მექნება, რახანია ადამიანის ხორცი არ მიგემიაო.

მერე კვარი აანთო, მჭედელი ღუმელიდან ჩამოათრია და უთხრა:

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, ჩემო დაუპატიჟებელო სტუმარო. კარგია, რომ მეწვიე, ვინ იცის, გშია და შიმშილისაგან დაილიე კიდეც.

ხელი მოუსვა უბედურებამ მჭედელს — მსუქანია თუ არაო. მჭედელს კი შიშისაგან მუცლის გვრემა აუტყდა.

— მოდი, ჯერ ვივახშმოთ, — უთხრა უბედურებამ, ერთი იღლია შეშა შემოათრია, ცეცხლი აგიზგიზა, ცხვარი დაკლა, გაატყავა, გამოშიგნა და შეწვა.

დასხდნენ სავახშმოდ. უბედურებამ ცხვრის ბარკალი ერთ ლუკმად ჩაიდო პირში, მჭედელი კი ლუკმას ვერა ყლაპავს, თუმცა მთელი დღე არაფერი უჭამია.

— შე კაი კაცო, ვინა ხარ? — ჰკითხა უბედურებამ.

— მჭედელი.

— რის გამოჭედვა იცი:

— ყველაფრისა.

— მაშ, თვალი გამომიჭედე.

— კარგი, — უთხრა მჭედელმა. — მერე და თოკები გაქვს? ჯერ უნდა შეგკრა და თვალი ისე ჩაგიდგა, ვაითუ გამიძალიანდეო.

უბედურებამ ორი თოკი მოიტანა: ერთი მსხვილი, მეორე — წვრილი.

მჭედელმა წვრილი თოკით შეკრა უბედურება და უთხრა:

— აბა, ბები, ერთი შეშოტრიალდიო.

შემოტრიალდა უბედურება და თოკები დაწყვიტა. ახლა მსხვილი თოკით შეკრა მჭედელმა.

— აბა, ისევ შემოტრიალდიო.

შემოტრიალდა უბედურება და თოკები ველარ დაწყვიტა. მაშინ მოძებნა ქოხში მჭედელმა რკინის ტაბიკი, გაავარვარა და უბედურებას ჯანსაღ თვალზე დაადო. დაარტყა ტაბიკს ჩაქუჩი და თვალი იმწამსვე აშიშინდა. შემოტრიალდა უბედურება, დაწყვიტა თოკები, ცოფიანივით წამოხტა, დირეზე დაჯდა და დაიძახა:

— დამაცადე ერთი, შე არამზადავ შენა, ახლა კი ველარსად წამიხვალო!

ძალზე შეშინდა მჭედელი, მთელი ღამე კუთხეში იჯდა ცოცხალმკვდარი, თვალი არ მოუხუჭავს. დილაადრიან, როცა უბედურებამ ცხვარი საძოვრად გამორეკა, სათითაოდ ყველას ხელი მოუსვა, ნამდვილად ცხვარია თუ არაო და ისე გამოუშვა. მჭედელმა ტყაპუჭი უკუღმა ჩაიცვა და ისიც ოთხზე დადგა. უბედურებამ ხელით მოსინჯა, იფიქრა, ცხვარიაო, წაავლო კისერში ხელი და ქოხიდან მოისროლა... წამოხტა მჭედელი და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, შინისაკენ მოკურცხლა. გზაში ნაცნობებმა ჰკითხეს:

— რა იყო, რამ გაგაჭაღარავა ასეო?

— იმან, რომ ღამე უბედურებასთან გავათიე. ახლა კი ვიცი, რა ყოფილა უბედურება, გწყუროდეს და ვერა სვამდე, გშიოდეს და ვერა ჭამდე, გეძინებოდეს და ვერც იძინებდე — აი, ესა ყოფილაო.

თარგმნა ცისია კახიანმა.

მხატვარი ო. ჩხარტიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნება ჩვენი ცხოვრების დამამშვენებელი და მუდმივი თანამგზავრია.

# პიონერებო! დადექით „ცოცხალი ვერცხლის“ დაცვის სადარაჯოზე!

გვესაუბრება საქშავზღვათევზმშენის სამმართველოს უფროსის მოადგილე ს. ცინცაძე.

დღეს ხშირად გვესმის ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეული საფარის დაცვას, მის შენარჩუნებას; ვიცით, რომ ტყის გარეშე უჟანგბადოდ დარჩება დედამიწა, თავისსავე ამონასუნთქ ნახშირორჟანგში მოიგუდება კაცობრიობა. თუ არ შევინარჩუნებთ, არ გავაშენებთ ტყეებს, — არც ტყის ბინადართ ექნებათ საასპარეზო, მდინარეებს მოაკლდება წყალი, გადაშენდება თევზი...

ჩვენს სამშობლოში ბუნების დაცვის საქმე სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხად არის ქცეული. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიეცა თევზის დაცვასა და მოშენებას, მის გამრავლებას. ათასობით ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი დადგა „ცოცხალი ვერცხლის“ — თევზის დაცვის სადარაჯოზე, მდინარე ვოლგაზე და ამურზე, დონზე და დვინაზე, სახალინსა და ბალტიისპირეთში ბავშვებმა მილიონობით ლიფსიტა გადაარჩინეს დაღუპვას, ამოიყვანეს ისინი დამშრალი გუბეებიდან, მდინარეებიდან, წყალსაცავებიდან, უხვწყლიან მდინარეებსა და წყალსაცავებში მიუჩინეს მათ ბინა. საბჭოთა კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრმა ამხ. იშკოვმა დიდად მოიწონა მოსწავლეთა ეს კეთილშობილური თაოსნობა.

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ ძალზე ცოტა რამ კეთდება.

ყველა მოსწავლე უნდა ჩაებას თევზის გამრავლებისათვის გამართულ დიდ ფერხულში.

ალბათ დაგებადებათ კითხვა: ჩვენ, ბავშვებს, რა შეგვიძლია გავაკეთოთო?

ძალიან ბევრი რამ...

გულდადებით უნდა შეისწავლოთ თევზჭერის წესები და თევზის დაცვის შესახებ არსებული ლიტერატურა. ამ საკითხზე უმცროსკლასელებთან უნდა ჩაატაროთ საუბრები, აუხსნათ მათ, თუ რა ზიანი მოაქვს თევზჭერის წესების დარღვევას თევზის მარაგის ზრდისთვის.

თვალყური უნდა ადევნოთ თევზჭერის წესების ზუსტად დაცვას, დაეხმაროთ თევზდაცვის მუშაკებს იმ პირთა გამოაშკარავებაში, ვინც თევზის მოპოვებისათვის იყენებს მომწამვლელ და ფეთქებად ნივთიერებებს, ელექტროდენსა და თევზის ჭერის სხვა აკრძალულ საშუალებებს.

თვალ-ყური უნდა ადევნოთ იმას, რომ სამრეწველო საწარმოებმა არ გააბინძურონ მდინარეები. და, თუ ასეთს შეამჩნევთ, დაუყოვნებლივ აცნობოთ სადაც ჯერ არს.

მზრუნველობა უნდა გაუწიოთ გუბეებსა და წყლის განშტოებებში დარჩენილ ლიფსიტებსა და მოზარდ თევზს. მათ გადასარჩენად უნდა გათხაროთ მდინარეებთან შესაერთებელი რუები, ხოლო სადაც ეს არ მოხერხდება, გუბეებსა და განშტოებებში ჩარჩენილი თევზი ვედროებით, ან წვრილი ბადეებით ამოიყვანოთ და გაუშვათ მდინარეში.

შეგიძლიათ გადარჩენილი თევზის ნაწილი, გაუშვათ თქვენი ხელით აგებულ აუზებში, მზრუნველობა გაუწიოთ მათ, დაკვირვება აწარმოოთ კვების რეჟიმზე, ზრდის ეფექტიანობაზე. ბიოლოგიის მასწავლებლის დახმარებით ჩაატაროთ იქტიოფაუნაზე სხვადასხვა ცდები, ეს მეტად საინტერესო იქნება და დაგეხმარებათ მომავალი პროფესიის არჩევაში.

ყველა ეს ღონისძიება რომ ორგანიზებულად ჩატარდეს, საჭირო იქნება სკოლებში, საბავშვო სახლებში, პიონერთა ბანაკებში და მოზარდთა თავშეყრის სხვა ადგილებში, ჩამოაყალიბოთ რაზმები, რომლებიც ერთობლივად შეასრულებენ ყველა ზემოჩამოთვლილ სამუშაოს. მოდი, ამ რაზმებში გაერთიანებულ ყმაწვილებს პირობით „ცისფერი პატრულები“ ვუწოდოთ, ხოლო მათ მიერ გადარჩენილ თევზის მარაგს „ცოცხალი ვერცხლი“. შეეჯიბრეთ ერთმანეთს — რომელი რაზმი უფრო მეტ „ცოცხალ ვერცხლს“ გადაარჩენს, ამით ძალიან დიდი ეროვნული საქმე გაკეთდება.

„ცისფერი პატრულების“ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე, თქვენს საქმიანობაზე მოსწერეთ „პიონერის“ რედაქციას. თუ რომელიმე რაზმი ან სკოლა განსაკუთრებულად გამოიჩენს თავს, ჩვენი სამმართველო მას ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოებს.





კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. ანბანის შემადგენელი ნაწილი; 3. სახელმწიფო აფრიკაში; 4. მდინარე აფრიკაში; 6. ცნობილი ილუზიონისტი; 8. სითხის გამწოვი ხელსაწყო; 13. მდინარე აფხაზეთში; 14. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; 18. მდინარე ევროპაში; 23. საბერძნეთის დედაქალაქი; 26. საქართველოს სახალხო გმირი; 27. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ასო მათემატიკაში; 28. საყვირი ანუ?.. 29. სიცივის პოლუსი; 31. ტაძარი ტაო-კლარჯეთში; 32. გეომეტრიის ერთ-ერთი ცნობილი თეორიის შემქმნელი; 33. სახელის და გვარის აღნიშვნა დასაწყისი ასოებით;



ვერტიკალურად: 1. კურორტი სომხეთში; 2. უფროსი თანამდებობის პირთა საერთო სახელწოდება არმიაში; 3. ესპანეთის დედაქალაქი; 5. უდმურტიის დედაქალაქი; 6. ქალაქი ინდოეთში; 7. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 8. ციმბირის ერთ-ერთი მხარე; 9. თამბაქოს ხმელი ფოთლის ასხმულა; 10. უდიდესი მდინარე აზიაში; 11. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში; 12. ცნობილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი; 15. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 16. ლიტერატურული ჟანრი; 17. სახელმწიფოთა შორის დიპლომატური მიმართვის ფორმა; 18. ხალხური საკრავი; 19. ნორვეგიელი მოგზაური; 20. მწვერვალი კავკასიონზე; 21. ოპერა „ჯამბაზების“ მომქმედი პირი; 22. საგმირო თქმულება; 23. წესიერი მრავალკუთხედის ცენტრიდან მის გვერდზე დაშვებული პერპენდიკულარი; 24. ძალა, მხნეობა ანუ?.. 25. ხელნაწერი დედნის გადაღება; 30. კოსმეტიკაში გამოყენებული საღებავი; 32. საწევრო, წილი ანუ?

ნანა ცანავა,
გულრიფშის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## №7-ში მოთავსებული ცხრაკლიტულის პასუხები

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 2. ზონდი; 5. სიო; 6. შიო; 9. ლენა; 12. ოსლო; 13. ნერუ; 4. ინა; 15. ნეფ; 16. არია; 19. ლენინგრადი; 20. ორჯონიკიძე; 22. ვარდე; 23. ბროლი; 24. ერაყი; 25. ანაპა; 27. არალი; 28. რე; 29. ია; 30. ერა.

ვერტიკალურად: 1. ლენინი; 3. ლიბანი; 4. ტიტოვი; 7. პერუ; 8. ილია; 10. დიასი; 11. კონგო; 17. არსენა; 18. კორეია; 21. კომკავშირი; 26. ათენი; 27. არიკა.




ლიტერატურული ჩაინვორდი

თუ ამ ჩაინვორდის ვერტიკალურ სვეტებს შეავსებთ, ჰორიზონტალურად მიიღებთ საბჭოთა კავშირის კოსმონავტის სახელსა და გვარს.

1. გრ. ორბელიანის პოემა; 2. ი. ჭავჭავაძის პოემა; 3. ირ. ევდოშვილის მოთხრობა; 4. ნ. ბარათაშვილის ლექსი; 5. ალ. ჭავჭავაძის ლექსი; 6. დ. ჭონქაძის მოთხრობა; 7. გ. ქუჩიშვილის ლექსი; 8. ილ. ჭავჭავაძის ლექსი; 9. ე. ნინოშვილის მოთხრობა; 10. ნ. ლომოურის მოთხრობა; 11. ა. წერეთლის ლექსი; 12. ლ. ქიაჩელის რომანი.



მარატი ბერიძე, — ახალქალაქის რაიონი, სოფ. გოგაშენის რვაწლიანი სკოლა, VII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოგადგება



განაბურღის გასაზომად არ არის აუცილებელი ბურღის ამოღება და ნახვრეტის სიღრმის გაზომვა. ბურღს წინასწარ შემოახვიე სინთეზური ლენტი ან ლეიკოპლასტირი და განაბურღის სიღრმე ავტომატურად გაიზომება.



სარეცხის სამაგრს გამჭრიახი ადამიანის ხელთ ბევრი სასარგებლო საქმის შესრულება შეუძლია — მაგალითად, მისი გამოყენება ყუთის სახელურადაც შეიძლება.

თვით დიდად დახელოვნებულ მღებავსაც კი არ



ძალუძს კედელზე ფუნჯით სწორი ხაზის გავლება. დააჭედე სწორპირიან ფიცრის ნაჭერს ფუნჯი და იგი ფიცრიდან გააყოლე კედელს — ხაზი ლარივით სწორი გამოვა.



ყოველმა ველოსიპედის მფლობელმა იცის რა უხერხული გასაბერია ველოსიპედის საბურავი, თუ ტუმბო ხელით გიჭირავს. გააკეთე ფიცრისაგან ასეთი სადგარი და ნახავ როგორ მოუმარჯვებ საბურავს ტუმბოს.



გინდა ქაღალდი სწორად ჩამოჭრა? დანა ან სამართებელი წვერით ასანთის ღერში ჩაასვი, სახაზავი ქაღალდზე დადე და ასანთის ღერო სახაზავის პირს გააყოლე. ქაღალდიც სწორად ჩამოიჭრება და არც სახაზავს გაუფუჭდება პირი.

## საინტერესო ამბები

# რატომ დაცურავენ თევზები

იქნებ იმიტომ, რომ ისინი წყალზე მსუბუქნი არიან? ვთქვათ, ეს ასეა. მაშინ — რატომ არ აგდებს წყალი მათ ზედაპირზე?

და კიდევ: რრგორლა დაცურავენ ზღვებისა და ოკეანეების ბინადარნი, რომელნიც წყალზე უფრო მძიმენი არიან? ხომ არიან ასეთებიც: კიბორჩხალები, მოლუსკები, რვაფეხები, ზღვის კუ, დელფინები. ვინ არ იცის, რომ არცერთი ზღვის ბინადარი არ იძირება, თუმცა მათი ხვედრითი წონა ზღვის მლაშე წყლის ხვედრით წონაზე მეტია.

ამ საკითხით დაინტერესდა სევასტოპოლელი სწავლული, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ი. ალეევი. იგი პროფესიით იქტიოლოგია, ზღვის მკვიდრთა მორფოლოგიას სწავლობს. ჩვენს დროში ეს მეცნიერება სულ სხვანაირია, ვიდრე წინათ იყო. ახლა ამ დარგის სპეციალისტები მარტო იმას კი არ აღწერენ, თუ როგორია ზღვის ცხოველთა „კონსტრუქცია“ და რარიგ დახვეწილია მათი ორგანიზმის აღნაგობა, არამედ იმასაც ირკვევენ, თუ რატომ არის ესა თუ ის ორგანო სწორედ ასე და არა სხვაგვარად მოწყობილი.

ამ კითხვის დასმა ადვილია, ოღონდ პასუხია ძნელი. ცოცხალი ორგანიზმი ბუნების გამოგონებაა, მისი საიდუმლო „პატენტია“, რაშიც ძნელია გარკვევა.

ი. ალეევმა ბევრი დრო დახარჯა იმის გამოსაცნობად, თუ რატომ არ იძირებიან ზღვის ის ბინადარნი, რომელნიც წყალზე მძიმენი არიან, იგი ცდას ცდაზე ატარებდა სევასტოპოლის წყლებში, სწავლობდა ზღვის მკვიდრთა ცურვის საიდუმლოებას.

აი, ერთ-ერთი ამ ცდათაგან: ხისაგან აკეთებდნენ დიდი ზღვის კუს ჯავშნის მოდელს. სპეციალური ტვირთის საშუალებით მისი წონა 150 კილოგრამამდე აჰყავდათ (სწორედ ამდენს იწონის ცოცხალი კუ). ფიზიკის კანონების თანახმად, ეს მძიმე მოწყობილობა წყალში ჩაშვებისთანავე უნდა ჩაძირულიყო. ასეც ხდებოდა, სანამ მოდელი უძრავად იყო. მაგრამ აი, იგი კატერს მიაბეს, რომელმაც ხის კუ თან გაიყოლა. როცა კატერის სისწრაფემ წამში ერთ მეტრს მიაღწია, მოდელი გაცურდა.

— ასეც უნდა მომხდარიყო, — ამბობს ი. ალეევი, — მაგრამ როცა ეს პირველად დავინახე, გავვოცდი. წარმოვიდგინოთ, რომ კატერი თოკით მიბმულ ქვას ეწევა. განა ქვა გაცურდება? რა თქმა უნდა, არა. თითქმის ათი ფუთი სიმძიმის „კუ“ კი მიცურავს. რატომ? — ვეკითხებოდი ჩემს თავს, როცა რვაფეხას მოდელს ვცდიდი.

პირველი და მიახლოებითი პასუხი ასეთი უნდა ყოფილიყო: მოძრაობის დროს მოდელი მაღლა ისწრაფვის, რადგან მას ზემოთ აგდებს ძალა, რომელიც მოდელის წონაზე მეტია.

მაგრამ ასეთი აზრი შეიძლება ინჟინერს მოსვლოდა თავში, იქტიოლოგს კი ეს პასუხი ვერ დააკმაყოფილებდა.

— რატომ ხდება ასე? — აი, რა ფიქრი მაწვალებდა. მოდელი ხომ ცოცხალი თევზი არ არის, მას არც ბოლო აქვს, არც ფარფლები, არც მოძრავი სხეული.

მეცნიერის ამ კითხვებს მხოლოდ მაშინ გაეცა პასუხი, როცა იგი ყურადღებით დააკვირდა კუს პროფილს. კუს პროფილი საოცრად ჰგავდა

თვითმფრინავის ფრთის პროფილს. ი. ალეევმა ზუსტი ასლიც კი მონახა — ეს იყო ცენტრალურ აეროჰიდროდინამიკურ ინსტიტუტში შექმნილი დიდი თვითმფრინავის ფრთა.

ასე აეხადა ფარდა თევზის ცურვის საიდუმლოებას, რომლის ახსნაც ადვილია თვითმფრინავის ფრთის მაგალითზე. თვითმფრინავის ფრთის ზედა მხარე უფრო გამობურცულია, ვიდრე ქვედა. შემხვედრი ჰაერის ნაკადი გამობურცულ მხარეზე — ჩქარა მოძრაობს, ფრთის ქვეშ კი — ნელა, წარმოიქმნება ჰაერის წნევის განსხვავება, რის გამოც მფრინავი აპარატის ფრთა „თავს იმაგრებს“ ჰაერში.

ასეთივე ამბავი ხდება თევზისა თუ ზღვის კუს მოძრაობისას. მათზე მოქმედებს ჰიდროსტატიკური ამწევი ძალა. აი, რატომ დაცურავს ზვიგენი მუდამ, ძილის დროსაც კი. ასე რომ არ იქცეოდეს, იგი ჩაიძირებოდა.

მაგრამ როგორ არის ზღვის იმ ბინადართა საქმე, რომლებიც წყალზე მსუბუქნი არიან? მათ ვეშაპის მრავალი სახეობა მიეკუთვნება. ამ ვეშაპების საშუალო ხვედრითი წონა ზღვის წყლის ხვედრითს წონას უდრის, ხოლო კაშალოტის ხვედრითი წონა საკმაოდ ნაკლებია წყლისაზე. ამასთან, ზღვის გიგანტები მარტო წყლის ზედაპირზე როდი დაცურავენ, მათ შეუძლიათ ღრმად ჩაყვინთვა და დიდხანსაც რჩებიან წყლის სიღრმეში. როგორ ახერხებენ ამას? წყალი ხომ სულ იმას „ცდილობს“, მაღლა ამოაგდოს ისინი? ზუსტად რომ ვთქვათ, ვეშაპებზე გამუდმებით მოქმედებს ჰიდროსტატიკური ამომგდები ძალა.

ი. ალეევმა ახალი ცდები ჩაატარა. თანაშემწეთა დახმარებით, მან ხისაგან გააკეთა ერთი მეტრი სიგრძის ვეშაპის მოდელი. ხის „ვეშაპი“ თავისუფლად იმაგრებდა თავს წყლის ზედაპირზე. შემდეგ იგი ბუქსირს მიაბეს. როცა სიჩქარემ წამში, 2,5 მეტრს მიაღწია, „ვეშაპმა“ ჩაყვინთა და, ბუქსირს მიბმულმა, მცირე სიღრმეზე განაგრძო ცურვა.

— აქ კი გამოსაცნობი არაფერი იყო. — ამბობს ი. ალეევი. — ჩვენ გავაანალიზეთ მოდელის პროფილი და დავრწმუნდით, რომ იგი ზუსტად ემთხვეოდა თვითმფრინავის ფრთის პროფილს. ოღონდ, რასაკვირველია, 180 გრადუსით შეტრიალებულად. ამიტომ არის, რომ ცოცხალ ვეშაპზე ამომგდები ძალა კი არ მოქმედებს, არამედ — წყალში ჩამღრმავებელი. თუ ვეშაპს წყლის სიღრმეში რაიმე შეემთხვა და მოძრაობა შეწყვიტა, წყალი მას მაშინვე საცობივით ამოაგდებს ზედაპირზე. ვერაფერს იტყვი, შესანიშნავად არის მოფიქრებული უსაფრთხობის ტექნიკა!

არის კიდევ ერთი ეშმაკური რამ ვეშაპის კონსტრუქციაში. მოძრაობის დროს ვეშაპზე მოქმედებს თავიდან კუდამდე მიმართული ძალა, რომელიც ცდილობს ეს ცხოველი როგორმე გულაღმა გადააბრუნოს. ვეშაპისათვის ესეც ხელსაყრელია. როცა იგი ზღვის ზედაპირისკენ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად, ისწრაფვის, წყლიდან პირველად თავით ამოიზიდება და მაშინვე იწყებს სუნთქვას.

მაშასადამე, თუ ცხოველი წყალზე მძიმეა, მისი ზურგი უფრო გამობურცული უნდა იყოს, ვიდრე მუცელი. და პირიქით.

მაგრამ აი, სელაპი წყალზე მსუბუ-

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


ზ. ლეშკაშელი — „ცისკრის“ ქალაქში — (ფოტორეპორტაჟი) გარეკ. . . . . . . . . . . 2 გვ.
გ მ ი რ ი ბ ა ვ შ ვ ე ბ ი . . . . . . . . . 4
ნ. კილასონია — ვინ არის ჩემი მეგობარი? (ლექსი) . . . . . 8
მ. ჩხეტიანი — კორობლის მთაო (ლექსი) . . . . . . . . 8
ნ. შამანაძე — ბიჭები კიბეზე ადიოდნენ (მოთხრობა) . . . . . 9
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი . . . . . . . . . . . 15
ა. ჩიგოგიძე — ბანაკი ზღვის პირას (ნარკვევი) . . . . . 16
ი. იაკოვლევი — მოციმციმე ნათურა (მოთხრობა, თარგმნა მ. კვაჭაძემ) . . . . . . . . . . 19
უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი . . . . . . . . . . 24
ა. კარბელაშვილი — ელექტრომობილი (წერილი) . . . . . 24
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . . . . . . . . 26
რ. გიგაური — სინდაურისძის მაღალი (ბალადა) . . . . . . .
ც ა ლ თ ვ ა ლ ა უ ბ ე დ უ რ ე ბ ა (რუსული ხალხური ზღაპარი, თარგმნა ც. კახიანმა) . . . . . . . 26
ს. ცინცაძე — დავიცვათ „ცოცხალი ვერცხლი“ (წერილი) . . . 29
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . . . . . . .
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . . . . . . . . 30
რ ა ტ ო მ დ ა ც უ რ ა ვ ე ნ თ ე ვ ზ ე ბ ი (წერილი) . . . . : 31


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ზ. ფორჩხიძეს.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/VI-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-70 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 1962. ტირ. 123.800. უე 10806.

ფასი 20 კაპიკი

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



ქია. როგორია მისი ზურგი? ირკვევა რომ იგი პირიქით არის მოწყობილი— კუზიანია, მუცელთან შედარებით უფრო გამობურცულია. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, სელაპი ხომ ნაპირზე უნდა გამოვიდეს და ხიფათის შემთხვევაში კიდეც გაიქცეს.

როგორ დაცურავს სელაპი? მოულოდნელი რამ გამოირკვა: სელაპი გამობურცული ზურგით მიცურავს, ამასთან, მისი განივი პროფილი სავსებით ემთხვევა თვითმფრინავის გადაბრუნებული ფრთის პროფილს, ზუსტად ისევე, როგორც ვეშაპის პროფილი.

ლურკანას ქვირითის ყრის დროს ზურგზე დიდი კუზი ამოეზრდება ხოლმე. თურმე ამ დროს ლურკანას დიდი მანევრირება უხდება. კუზი სხეულს ფორმას უცვლის და ამ თევზის სისწრაფე კლებულობს, სამაგიეროდ, იზრდება მიხვევ-მოხვევის უნარი.

ვ. დრუიანოვი.

„იუნი ნატურალისტი“.



ელექტრონული ბიბლიოთეკა





# უსიტყვო ხუმრობები

სხვადასხვა ჟურნალებიდან












ИНДЕКС 76157